“მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა”(PMDI)

მეორე ეტაპი

კულტურული მემკვიდრეობის მართვის აუდიტი

ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობდნენ:

ნესტან თათარაშვილი	არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მოდერნის დაცვის ჯგუფი„
თამარ აღაპიშვილი	არასამთავრობო ორგანიზაცია „სუნტნი–აქტიური ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ჯგუფი„
ვახტანგ შატბერაშვილი	არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა„
ნოდარ ბახტაძე	არასამთავრობო ორგანიზაცია მეცნიერთა ფონდი „უდაბნო„
ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი	არასამთავრობო ორგანიზაცია „პალეოლითის შემსწავლელ მეცნიერთა კავშირი„

თბილისი - 2006

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა 3
1. შესავალი 6
1.1 *მიზანი და ამოცანები* 8
1.2 *აუდიტის სპექტრი, ფოკუსი, შეზღუდვები* 8
1.3 *კრიტერიუმები* 8
1.4 *აუდიტის ობიექტი* 9

2. მეთოდოლოგია 10
2.1 *ჯგუფის წევრები და მათი მოვალეობები* 10
2.2 *აუდიტისათვის გამოყენებული ტექნიკა (ჩაღრმავება, მიდევნა)* 11
2.3 *ობიექტების შერჩევის საფუძვლები* 11
2.4 *აუდიტის პროგრამა* 14
2.5 *დოკუმენტების თავდაპირველი მოთხოვნა* 14
2.6 *დოკუმენტების მიმოხილვა / საკონტროლო კითხვების შედგენა* 14

3. დაკვირვებები, მიგნებები და ანალიზი 15
შესავალი 15
3.1 *KP 85, ნაჭივჭავები* 16
3.1.1 *მონიტორინგი* 17
3.1.2 *არქეოლოგიურ ძეგლზე გამაფრთხილებელი ნიშნის არარსებობა* 19
3.2 *KP 120, საფარ-ხარაბა* 20
3.2.1 *დერეფნის კიდეზე მოწყობილია არაოფიციალური სამანქანო გზა* 21
3.2.2 *არქეოლოგიური ძეგლის ნაწილი შესასწავლია* 23
3.3 *KP 185, ციხისჯვარი* 24
3.3.1 *ძეგლი დაუკონსერვებელია* 25
3.4 *KP 203, თისელი* 27
3.5 *KP 225, სოფელი კლდე* 28
3.5.1 *KP 225-ზე გაუთხრლად დატოვებული ძეგლი დაზიანდა* 29
3.6 *გასხვისების დერეფნის გარეთ არსებული არქიტექტურული ძეგლები* 29

4.. დასკვნები და რეკომენდაციები 33

5. მადლობა 36

დანართები 37
დანართი 1. 37
დანართი 2. 40
დანართი 3. 42
დანართი 4 46

შენიშვნა:

ავტორები აღიარებენ, რომ ეს ანგარიში და მასში გადმოცემული მოსაზრებები ეკუთვნით მათ და არ გამოხატავს სპონსორი ორგანიზაციის, "ევრაზიის ფონდის", და მისი თანამშრომლების პოლიტიკასა თუ შეხედულებებს.

ზოგადი მიმოხილვა

მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა (PMDI) წარმოადგენს ევრაზიის ფონდის მიერ განხორციელებულ პროგრამას, რომლის მეორე ეტაპი მოიცავს BTC/SCP პროექტების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის აუდიტს. აუდიტის სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა კულტურული მემკვიდრეობის საკითხებით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით, რომლებსაც გააჩნიათ საკმარისი პროფესიული გამოცდილება ისტორიის ძეგლთა დაცვასა და არქეოლოგიაში.

საქართველოს ტერიტორიაზე დასრულდა ბაქო – თბილისი - ჯეიჰანის ნავთობსადენისა (BTC) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (SCP) მშენებლობა, რომლის მთავარი ოპერატორი კომპანია ბრიტიშ პეტროლიუმია. ამ მასშტაბური პროექტების განხორციელება დიდ სარგებელთან ერთად გარკვეულწილად საფრთხესაც შეიცავს, რაც პირველ რიგში, ეკოლოგიას და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას უკავშირდება.

გასხვისების დერეფანში არსებული და სამუშაოების დროს გამოვლენილი ძეგლების დაცვა ევალება კომპანიის კულტურული მემკვიდრეობის სამსახურს. ამ სამსახურის მიერ ჩამოყალიბდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვითი ღონისძიებებისადმი ოთხფაზიანი მიდგომა, რაც პირველი სამი ფაზის განმავლობაში გულისხმობს წინასამშენებლო კვლევას, მეოთხე ფაზაზე კი უშუალოდ მშენებლობისას გამოვლენილი ძეგლების დაცვასა და შესწავლას. მშენებლობის ყველა ეტაპზე (წინასწარი სამუშაოების ჩათვლით), როგორც კომპანიის კონტრაქტორი, მონაწილეობს სახელმწიფო ორგანიზაცია - ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტი (ყოფილი არქეოლოგიური კვლევის ცენტრი), რომელიც მშენებლობისას გამოვლენილ არქეოლოგიურ ობიექტებს შეისწავლის.

მშენებლობის პროცესში ჩატარებული სამუშაოს შეფასებას ემსახურება ჩვენი საქმიანობაც – BTC/SCP პროექტების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის აუდიტი.

აუდიტის ამოცანებია:

- BTC/SCP-სა და პროექტში მონაწილე სხვა ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოთხოვნების შესრულების შეფასება
- BTC-სა და SCP-ს მიერ მილსადენის გზის გასწვრივ არსებული ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენის, აღნუსხვისა და დაცვის ვალდებულებების შესრულება
- კონტრაქტორისა (SPJV) და პარტნიორის (არქეოლოგიური კვლევის ცენტრი) მიერ BTC-ისა და SCP-ს მოთხოვნების და ვალდებულებების შესრულება;

აუდიტის ამოცანების შესასრულებლად კულტურული მემკვიდრეობის ჯგუფმა შეადგინა სამუშაო გეგმა და დაიწყო სათანადო ქმედებების განხორციელება: წინასწარ იქნა შესწავლილი კომპანიის მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით შემუშავებული დოკუმენტები; კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ დაიგეგმა შერჩეული არქეოლოგიური ობიექტების მონახულება; მომზადდა კითხვარები და მოთხოვნილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია. ყველა ძეგლის ადგილზე ნახვისა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისაგან ინტერვიუს აღებისა და აუდიტის და წინასწარი შედეგების წარდგენის შემდეგ - დავიწყეთ საბოლოო ანგარიშის შედგენა.

აუდიტისათვის შერჩეული ობიექტებს (KP 120, საფარ-ხარაბას სამაროვანი; KP 225, სოფ. კლდის ნასახლარი და სამაროვანი KP 185), შორის იყო როგორც წინასწარ ცნობილი, აგრეთვე მშენებლობის დროს აღმოჩენილი ქრონოლოგიურად, სტრატიგრაფიულად და გეოგრაფიული მდებარეობით განსხვავებული ძეგლები. დაგეგმილი ძეგლების გარდა, მოვინახულეთ გასხვისების დერეფნის სიახლოვეს მდებარე არქიტექტურული ძეგლები: აწყურის ციხე, ნადარბაზევის სასახლის კომპლექსი, საკირეს კომპლექსი და ტაძრისის მონასტერი, აგრეთვე ორი არქეოლოგიური ობიექტი KP 85 –სა და KP 203-ზე.

კომპანიის მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის მიზნით ჩატარებული დიდი მოცულობის სამუშაო წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. დაცული იყო როგორც საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის, ისე კომპანიის მიერ კულტურული მემკვიდრეობის სფეროსათვის შემუშავებული ნორმების მოთხოვნები, რის საფუძველზედაც სამუშაოები უმეტესწილად პროცედურების დაცვით მიმდინარეობდა.

საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას შეემატა დღემდე უცნობი, არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომლებმაც უაღრესად საინტერესო შედეგი მოგვცა საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის საკითხების ახლებურად გასააზრებლად; ქართველმა არქეოლოგებმა მიიღეს ფართომასშტაბიან მშენებლობებზე მუშაობის მდიდარი გამოცდილება; ახალგაზრდა თაობამ გაიღრმავა ცოდნა სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე მუშაობის მეთოდიკაში; მუზეუმების კოლექციები გამდიდრდა უაღრესად საყურადღებო ექსპონატებით, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ქართული კულტურული მემკვიდრეობის შემდგომ პოპულარიზაციას. მიუხედავად ამისა, აუდიტის ჯგუფმა გამოავლინა მიგნებები, რომლებიც არ შეესაბამება დოკუმენტებით დადგენილ მოთხოვნებს:

- KP 85-ზე, სამუშაო ჯგუფის მისვლისას მიწის სამუშაოები მიმდინარეობდა კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცრის დაუსწრებლად, რაც საფრთხეს უქმნიდა აქ არსებულ არქეოლოგიური ძეგლს. არქეოლოგიურ ძეგლზე არ იყო გამაფრთხილებელი ნიშანი;
- KP 185-ზე გათხრილი ძეგლები დაუცველი აღმოჩნდა – მათი ზედაპირი გაშიშვლებულია და კლიმატური პირობების

ზემოქმედებით ზიანდება. ძეგლი მოითხოვს გადაუდებელ კონსერვაციას;

- KP 120-ზე, დერეფნის გვერდით გაყვანილი იყო არაოფიციალური სამანქანო გზა, რომელიც იქ არსებული ძეგლის დაზიანების საშიშროებას ქმნიდა. გზის გასაუქმებლად მისაღებია გადაუდებელი ზომები;
- KP 225-ზე, დერეფნის იმ ტერიტორიაზე, რომელიც გაუთხრელად იქნა დატოვებული მათი უსაფრთხო მდებარეობის გამო, თან ახლდა ძეგლთა ნაწილობრივი დაზიანება.

გარდა აღნიშნული შეუსაბამობების გასასწორებელი ღონისძიებებისა, ჯგუფმა ჩამოაყალიბა პროფესიულ გამოცდილებაზე დამყარებული რეკომენდაციებიც, რაც გულისხმობს:

- მომავალში არქეოლოგიურად მგრძნობიარე ადგილებში კომპანიის მონიტორინგის სამსახურის კიდევ უფრო გაძლიერებას;
- ძეგლთა დაზიანების 100 პროცენტით თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ დერეფანში არსებული ძეგლების მთლიანი გათხრის უზრუნველყოფით. იმისათვის, რათა გამოირიცხოს არქეოლოგიური ძეგლის დაზიანების შესაძლებლობა, უკეთესი იქნება დერეფანში არსებული ყველა ძეგლის გათხრა, ვიდრე ადგილზე მათი კონსერვაცია;
- მილსადენის საექსპლუატაციო სამუშაოების კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის დროულად შემუშავებას.

1. შესავალი

XX საუკუნის დასასრულს დაწყებული პროექტები: ბაქო-სუფსისა და თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენები და სამხრეთ კავკასიის გაზსადენი XXI საუკუნის საქართველოს სტაბილური პოლიტიკისა და აღმავალი ეკონომიკის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი და საიმედო საყრდენია. აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის (AGT) ერთობლივი პროექტი: 44 მეტრიან სამშენებლო დერეფანში ერთმანეთთის პარალელურად მიმარული ორი მილსადენის თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის (SCP) გაზსადენის მშენებლობა დასრულდა. მილსადენი, რომლის სიგრძეც საქართველოში 249 კმ.-ია, გადაკვეთს სამხრეთ საქართველოს 7 რაიონს: გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო, წალკა, ბორჯომი, ახალციხე, ადიგენი.

BTC Co პროექტის ყველაზე მსხვილი მეწილეა (30,1%). იგი სრულუფლებიანი პარტნიორია და პასუხს აგებს მილსადენის მუშაობაზე აზერბაიჯანში, თურქეთსა და საქართველოში. BP-ისა და BTC Co-ს მიზანია: ''არავითარი უბედური შემთხვევა, არავითარი ზარალი ხალხს და არავითარი ზიანი გარემოს''. ამ მასშტაბური პროექტების განხორციელება ბევრი დადებითის გარდა, ცხადია, გარკვეულწილად საფრთხესაც შეიცავს. ეს, პირველ რიგში, ეკოლოგიას და კულტურულ მემკვიდრეობას უკავშირდება და ამ მიმართებით კონტროლი აუცილებელია. ამას ემსახურება ჩვენი საქმიანობაც – მოვახდინოთ BTC/SCP პროექტების სამშენებლო ეტაპზე განხორციელებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის აუდიტი.

ჩვენი მიზანია შევისწავლოთ აღნიშნული პროექტების როგორც დოკუმენტური მასალა, აგრეთვე პრაქტიკულად განხორციელებული ღონისძიებები და ქმედებები, რაც მიმართული იყო კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასთან, გამოვლენასთან, დაცვასა და გადარჩენასთან. ამისათვის აუცილებელია ძირეულად შევისწავლოთ ჩვენს მიერ შერჩეულ ადგილებზე როგორც წინასწარ ცნობილი, ასევე მშენებლობისას გამოვლენილი არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების მდგომარეობა. მარშრუტი ძალზე მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, რადგან ქვეყნის ზემოთაღნიშნული პროვინციები მდებარეობს მახლობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების (საბერძნეთი, რომი, ბიზანტია) კულტურული გავლენების გზაშესაყარზე, ამ ტერიტორიასა და მის შემოგარენში სავარაუდოა პირველი ქართული სახელმწიფოების (დიაუხი, იბერია) წარმოშობა.

ამავე დროს, ჩვენი აუდიტის მიზანი ისიცაა, რომ სამოქალაქო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ აღნიშნული პროექტის შედეგები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით. აღსანიშნავია, რომ მისი დამფინანსებელი ორგანიზაციები თავად არიან დაინტერესებულები, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საერთაშორისო სტანდარტის მქონე მონიტორინგის განხორციელების კვალიფიკაცია ამაღლდეს და გაუმჯობესდეს. ეს ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოებაში ისეთი ჯგუფების ჩამოყალიბებას, რომელიც

წარმატებით შესძლებს მთავრობისა და ინდუსტრიის ყველა სექტორის მონიტორინგსა და აუდიტს.

BTC/SCP პროექტები შეცავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს არქეოლოგიური და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების დაცვას უშუალოდ მილსადენისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ცნობილია, რომ წინასწარი შესწავლისას დაფიქსირდა 51 არქეოლოგიური და 206 ისტორიული ძეგლი. სამუშაოების მიმდინარეობისას მოხდა ახალი ძეგლების გამოვლენა, რომელთა დაცვასა და შესწავლაზე BP/BTC-იმ აიღო ვალდებულება. PMDI პროგრამის ფარგლებში განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მეოთხე ფაზის სამუშაოების აუდიტი, რომლის მიზანი იყო ამ ვალდებულებების შესრულების შემოწმება.

BP/BTC-იმ ნაკისრი ვალდებულებების განსახორციელებლად შეიმუშავა კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა, რომლის მიხედვით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამუშაოები ოთხ ფაზად დაიყო:

- პირველი ფაზა ეხებოდა ძეგლების გამოვლენას, რაც მოიცავდა შესაბამის სამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციებს, აეროფოტოებისა და საბაზისო ლიტერატურის შესწავლას, ტერიტორიის დათვალიერებას არქეოლოგიური და ისტორიული ძეგლების გამოვლენის, მათთვის გვერდის ავლისა და პროექტის ზემოქმედების არეალის დადგენის მიზნით. აღნიშნული სამუშაო რა რომლის შედეგები განოყენებულ იქნა მარშუტის შემუშავებისათვის.
- მეორე ფაზა ეხებოდა ძეგლის შეფასებას: საველე და ლაბორატორიული კვლევების შედეგად უნდა განსაზღვრულიყო კულტურული მემკვიდრეობის იმ რესურსების მნიშვნელობა, რომლებსაც გასხვისების დერეფანი გვერდს ვერ აუვლიდა (არქეოლოგიური ძეგლების შემთხვევაში) ან პროექტის ზეგავლენის არეალთან ძალიან ახლოს მდებარეობდა (არქიტექტურული ძეგლების შემთხვევაში).
- მესამე ფაზა ეხებოდა მონაცემთა შესწავლა - გადამოწმებას – რაც ითვალისწინებდა გასხვისების დერეფანში მოქცეული არქეოლოგიური ძეგლების სრულ შესწავლასა და პროექტის ზეგავლენის არეალთან ახლოს მდებარე არქიტექტურული მემკვიდრეობის სრულ დოკუმენტირებას.
- რაც შეეხება მეოთხე ფაზას, იგი ითვალისწინებდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვას AGT პროექტის სამშენებლო ეტაპზე.

საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას მჭიდრო კავშირი აქვს მეზობელი ქვეყნების კულტურებთან, იგი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ გეოგრაფიული მდებარეობის გამო მის განვითარებაზე გავლენას ახდენდნენ გარეშე ცივილიზაციები: ბერძნულ-რომაული, აქემენიდური, ბიზანტიური, არაბული და სხვ. ამ მიმართებით საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მილსადენის დერეფანში აღმოჩენილი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები სათანადოდ არის შესწავლილი და დაცული.

1.1 მიზანი და ამოცანები

BTC/SCP პროექტების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის აუდიტის მიზანია კომპანიისა და მისი კონტრაქტორების მიერ სამშენებლო ეტაპზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობის შემოწმება აღებულ ვალდებულებებთან.

სპეციფიური ამოცანებია:

- კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმასა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოთხოვნების BTC, SCP-სა და პროექტში მონაწილე სხვა ორგანიზაციების მიერ შესრულების შემოწმება;

- BTC-სა და SCP-ს მოქმედების შეფასება მილსადენის მშენებლობისას ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენისა და დაცვის ვალდებულებების შესრულების პროცესში;

- სამშენებლო კონტრაქტორისა (SPJV) და არქეოლოგიური კონტრაქტორის (არქეოლოგიის ინსტიტუტი) მიერ BTC-ისა და SCP-ს მოთხოვნების და ვალდებულებების შესრულების შეფასება.

1.2 აუდიტის სპექტრი, ფოკუსი, შეზღუდვები

აუდიტი მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის IV ფაზას, რაც განხორციელდა BTC/SCP-ისა და მათი კონტრაქტორების მიერ კულტურული მემკვიდრეობის ჯგუფის მიერ შერჩეულ ადგილებში საქართველოს ტერიტორიაზე. მისი შედეგები ეყრდნობა შესაბამისი ძეგლების მონახულებას, ადგილებზე გამოკითხვასა და დოკუმენტების შემოწმებას

1.3 კრიტერიუმები

BTC/SCP მიერ კულტურული მემკვიდრეობასთან მიმართებით შესრულებული სამუშაოების შესაფასებლად გამოვიყენეთ ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები და სტანდარტები:

- საქართველოს მოქმედი კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, 1999. (კარი I, თავი I მუხლი 2. კარი II, თავი V მუხლი 32, 36) და ამავე კანონის 2002 წლის ცვლილებები (პარაგრაფები 2, 3, 8, 36, 51) ;

- UNESCO-ს კონვენცია, 1972 ; UNESCO-ს მიერ შემუშავებული არქეოლოგიური გათხრებისათვის მიღებული სავალდებულო სტანდარტები;
- არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვის ქარტია, მიღებული ICOMOS-ის მიერ 1990 წელს;
- კულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელო (Cultural Heritage Field Notebook. 16 June, 2003); კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა (The Cultural Heritage Management Plan. 16 June, 2003) და ახალი აღმოჩენების ოქმი (Late finds protocol. 16 June, 2003);
- გარემოს დაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება (ESIA.).

1.4 აუდიტის ობიექტი

ნავთობსადენისა **(BTC)** და გაზსადენის **(SCP)** მშენებლობას აწარმოებს ბრითიშ პეტროლიუმი, რომელიც მსოფლიოში ენერგომატარებლების ერთ-ერთი უდიდესი მიმწოდებელი და მწარმოებელია. BP საქართველოში 1996 წლიდან მუშაობს. ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) მთლიანი სიგრძე 1768 კმ-ია, ხოლო საქართველოში 250 კმ. იგი გადის სრულიად განსხვავებულ და რთულ ლანშაფტზე, ზოგიერთ ადგილებში თითქმის 2500 მეტრის სიმაღლეზე. ასეთივე რთულ რელიეფზე შენდება სამხრეთ კავკასიის გაზსადენი (SCP პროექტი), რომელიც აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენს პარალელურად მიუყვება.

აშშ-სა და საფრანგეთის კონსორციუმი ''ერთობლივი საწარმო Spie-Capag-Petrofac'' (SPJV. Spie-Capag-Petrofac Joint Venture) არის სამშენებლო კონტრაქტორი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მილსადენსა და მასთან დაკავშირებულ ნაგებობებს აშენებს.

მშენებლობის ყველა ეტაპზე (წინასწარი სამუშაოების ჩათვლით), როგორც BP-ის არქეოლოგიური კონტრაქტორი, მონაწილეობს ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტი (ყოფილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი), რომელიც გასხვისების დერეფანში გამოვლენილ არქეოლოგიურ ობიექტებს შეისწავლის.

2. მეთოდოლოგია

2.1 ჯგუფის წევრები და მათი მოვალეობები

სახელი / პროფესია	პასუხისმგებლობის სფერო
ნესტან თათარაშვილი – არქიტექტორ-რესტავრატორი ჯგუფის კოორდინატორი	როგორც ჯგუფის კოორდინატორმა, განახორციელა ჯგუფის წევრების საქმიანობის კოორდინაცია პროგრამის ხელმძღვანელებთან, გაანაწილა მოვალეობები ჯგუფის თითოეულ წევრზე, საველე გასვლებისას გადაიღო ფოტოები. მონაწილეობა მიიღო აუდიტის სამუშაო გეგმის და კითხვარების მომზადებაში, აგრეთვე საბოლოო ანგარიშის შედგენაში
თამარ აღაპიშვილი – არქეოლოგი	შეადგინა ჯგუფის შეხვედრების ოქმები, განახორციელა არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩატარებული სამუშაოების აუდიტი, გადაიღო ფოტოები. მონაწილეობა მიიღო აუდიტის სამუშაო გეგმის და კითხვარების მომზადებაში, აგრეთვე საბოლოო ანგარიშის შედგენაში.
ვახტანგ შატბერაშვილი - არქეოლოგი	დაამუშავა წინასწარ მოპოვებული დოკუმენტაცია, განახორციელა არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩატარებული სამუშაოების აუდიტი. დაამუშავა რუკები ანგარიშისათვის, მონაწილეობა მიიღო აუდიტის სამუშაო გეგმის და კითხვარების მომზადებაში, აგრეთვე საბოლოო ანგარიშის შედგენაში.
ნოდარ ბახტაძე – არქიტექტორი	განახორციელა არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩატარებული სამუშაოების აუდიტი. შეისწავლა საერთაშორისო დოკუმენტაცია, მონაწილეობა მიიღო აუდიტის სამუშაო გეგმის და კითხვარების მომზადებაში, აგრეთვე საბოლოო ანგარიშის შედგენაში.
ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი - არქეოლოგი	დაამუშავა მოთხოვნილი დოკუმენტაცია, ადგილობრივი კანონმდებლობა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები. მონაწილეობა მიიღო აუდიტის სამუშაო გეგმის და კითხვარების მომზადებაში, აგრეთვე საბოლოო ანგარიშის შედგენაში.

აუდიტის ჯგუფის წევრების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართში 1.

2.2 აუდიტისათვის გამოყენებული ტექნიკა (ჩაღრმავება, მიდევნა)

აუდიტის ტექნიკური მხარე მოიცავს როგორც კონკრეტული ობიექტისა და მასზე ჩატარებული სამუშაოს სიღრმისეულ კვლევას, აგრეთვე კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურისა (მართვის სისტემის) და მართვის გეგმების ანალიზს.

აუდიტის თითოეულ ობიექტზე მუშაობა განხორციელდა წინასწარ შემუშავებული გეგმით (იხ. დანართი 2)

2.3 ობიექტების შერჩევის საფუძვლები:

შერჩეული ობიექტები პასუხობდა ჩვენი აუდიტის ამოცანებს. მათ შორის არის როგორც წინასწარ ცნობილი, აგრეთვე მშენებლობის დროს აღმოჩენილი ძეგლები, მკვეთრად განსხვავებული ერთმანეთისაგან როგორც ქრონოლოგითა და სტრატიგრაფიით, ისე გეოგრაფიული მდებარეობით. აღსანიშნავია აუდიტის მიმდინარეობისას სამშენებლო სამუშაოები დამთავრებული იყო და დარჩენილი იყო მხოლოდ ნიადაგის აღდგენის სამუშაოები.

ჩვენს მიერ შერჩეული ობიექტების დაზუსტებისას ვითვალისწინებდით მათ მაღალ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობას, განსხვავებულ ტიპოლოგიას, ქრონოლოგიას, გეოგრაფიულ მდებარეობას, სამუშაოთა მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე ყოფნას და ამასთანავე, გარკვეულ პრობლემატურობას. წინასწარ არჩეული ობიექტებიდან: KP 53, KP77- 85, KP 120, KP 136, KP 198, KP 202, KP 211, KP 242 - კომპანიის პასუხისმგებელ პირებთან შეხვედრისა და კონსულტაციის შემდეგ შეირჩა შემდეგი ობიექტები: KP 225, KP 120 და KP 185, რომელთა შესახებაც მივიღეთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

აგრეთვე დავგეგმეთ მათ სიახლოვეს მდებარე შემდეგი ობიექტების ნახვა: KP 210 (აწყურის ციხე) , KP 85, KP 90 (ნადარბაზევის კომპლექსი), KP 199 (საკირეს კომპლექსი), KP 200 (ტაძრისის მონასტერი), KP 203. აქედან აწყურის ციხე, ნადარბაზევისა და საკირეს კომპლექსები, აგრეთვე ტაძრისის მონასტერი გასხვისების დერეფნის გარეთაა (იხ. რუკა 2).

მიუხედავად იმისა, რომ აუდიტისას არ მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები, ჯგუფის წევრების გამოცდილებამ მათ საშუალება მისცა გამოეტანათ დასკვნები არსებული სიტუაციის შესახებ. დასკვნები ემყარება ძეგლების მონახულებას, ინტერვიუებს, დოკუმენტაციის მიმოხილვას.

არქეოლოგიის ცენტრთან დაგეგმილი შეხვედრა მათივე უარის გამო არ შედგა. აქედან გამომდინარე, ის საკითხები, რომლებიც არ განხილულა, უნდა დაფიქსირდეს კრედიტორის აუდიტის მიერ.

აუდიტისათვის შეირჩა შემდეგი ადგილები:

1. ახალციხე KP 225. 1 დღე. 8 მაისი, 2006

KP 225 აღმოჩნდა მშენებლობის დროს. იგი მნიშვნელოვანია სტრატიგრაფიული მონაცემებისა და ფუნქიური დანიშნულების გათვალისწინებით (გამთხრელის აზრით, იგი ქალაქური დასახლების ნაშთია).

2. წალკა. KP 120. 1 დღე. 15 მაისი, 2006

KP 120, საფარ-ხარაბას სამაროვანი წარმოადგენს მულტიკულტურულ სამაროვანს მდებარეს KP117+500 დან KP 121-მდე. აღმოჩნდა მშენებლობის დროს. აუდიტის ჯგუფის ვიზიტისას ნიადაგის აღდგენის გარდა ყველა სამუშაო დამთავრებული იყო.

3. ბაკურიანი KP 185. 2 დღე. 8-9 ივნისი, 2006

KP 185, ციხისჯვარი, იყო III ფაზის არქიტექტურული შესწავლის საგანი. (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის III ფაზის ანგარიში). მშენებლობის პროცესში განხორციელდა ნავთობსადენის მარშუტის შეცვლა, რათა ძეგლის მცირე ნაწილს დაზიანების საფრთხე არიდებოდა.

გასხვისების დერეფანი საქართველოში

რუკა 1



სამუშაო ჯგუფის მიერ ენერგოდერეფანში მონახულებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

რუკა 2

2.4 აუდიტის პროგრამა

BTC/SCP პროექტების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის აუდიტის პროგრამა პირველ რიგში ითვალისწინებდა სათანადო ინფორმაციის მოპოვებას, რომლის საფუძველზე მოხდა აუდიტის მიზნებისა და მოთხოვნების განსაზღვრა, აუდიტის ჯგუფის წევრებს შორის როლების გადანაწილება, აუდიტის გეგმისა და პროცედურების შემუშავება, აუდიტის გეგმის გაცნობა შესაბამისი მხარეებისათვის.

აუდიტი ჩატარდა წინასწარ შემუშავებული სპექტრის, გეგმისა და პროგრამის ფარგლებში. მოხდა შეუსაბამობების, აგრეთვე საკორექციო და პრევენციული ღონისძიებების გაცნობა აუდიტის ობიექტისათვის. აუდიტის შედეგების საბოლოო ანგარიშის შედგენა განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული განრიგის მიხედვით (აუდიტის პროგრამის აღწერა მოცემულია დანართ 2-ში)

2.5 დოკუმენტების თავდაპირველი მოთხოვნა

აუდიტის დასაწყისიდანვე მოვითხოვეთ BTC/SCP-ის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის ძირითადი დოკუმენტები (დოკუმენტების სრული სია იხ. დანართი 3):

- კულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელო, რომელშიც შედის კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა, და ახალი აღმოჩენების ოქმი ;
- სოციალური მართვის სისტემის სახელმძღვანელო;
- გარემოს დაცვითი და სოციალური ზემოქმედების ვალდებულების რეესტრი;
- გარემოს დაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება.

2.6 დოკუმენტების მიმოხილვა / საკონტროლო კითხვების შედგენა

როგორც პირველი შეხვედრისას, აგრეთვე თითოეულ ობიექტზე გასვლისას კომპანიას წინასწარ ვაცნობდით ჯგუფის მიერ დამუშავებულ კითხვარს (კითხვარის ნიმუშისათვის იხ. დანართი 4)

3. დაკვირვებები, მიგნებები და ანალიზი

შესავალი

BTC/SCP პროექტების ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის გარანტიებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი დოკუმენტები: "ESIA-ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება", კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულებები და გვიანდელი აღმოჩენების ოქმი (პროტოკოლი). ამ დოკუმენტებში მკაფიოდ არის ფორმულირებული BTC/SCP პროგრამა, გეგმა, ვალდებულებები და სხვა მონაცემები და ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მილსადენის მშენებლობისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვისაკენ. ეს დოკუმენტები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, ისევე, როგორც საერთაშორისო ნორმებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც ეხება კულტურულ მემკვიდრეობას. მაგალითად:

- UNESCO-ს კონვენცია 1972; UNESCO-ს სტანდარტები არქეოლოგიური გათხრებისათვის;
- ICOMOS-ის არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვის ქარტია, 1990.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია BTC/SCP პროექტების განხორციელებისას. შესულია "კულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელოში". ეს ვალდებულებები გათვალისწინებულია "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების" და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის ცნობარში და აგრეთვე გათვალისწინებულია პროექტის კონტრაქტორთან, არქეოლოგიურ ცენტრთან დადებულ კონტრაქტში.

ეს ვალდებულებები ფორმულირებულია “კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმაში”, რომელიც 2002წ. მაისში გამოცემული ბსგზშ ანგარიშების ნაწილია, ხოლო მილსადენის მშენებლობის ფაზაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ფასეულობების პროფესიული მოვლის ინსტრუქციები გაწერილია “ახალი აღმოჩენების ოქმში” (კულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელო. 16 ივნისი, 2003. დანართი-ბ. ახალი აღმოჩენების ოქმი)

3.1 KP 85, ნაჭივჭავები

KP 85 მდებარეობს თეთრიწყაროს რაიონში, თეთრიწყაროდან – ჩრდილო-დასავლეთით, 1,5 კმ.ში. ძეგლის ტიპი: ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი და სამაროვანი (ძვ. წ. IV-III ათასწლეული).

თეთრიწყაროს რაიონში, მილსადენის ამ მონაკვეთზე (იხ. ღუკა №2), კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის IV ფაზაზე 2003 წლის 26 ნოემბერს აღმოჩნდა არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც მოიცავს ენეოლითის სამეურნეო და საკულტო დანიშნულების ორმოებსა და მიწურ ნაგებობას, აგრეთვე მტკვარ-არაქსის კულტურის ხანის სამარხებს,

არქეოლოგების მიერ დადგენილია, რომ კომპლექსის შეუსწავლელი ნაწილები ვრცელდება გასხვისების დერეფანში და მის გარეთაც. ძეგლის აღმოჩენის შემდეგ, სავალდებულო პროცედურის მიხედვით, მიმდინარე სამუშაოები შეჩერდა და ძეგლის ტერიტორია შემოიღობა. არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან დაიდო ხელშეკრულება და განხორციელდა სამუშაოები (HL - 019, -023, -27, -030. ნოემბერსა და მარტს შორის, 2004). ყველა ზემოთაღნიშნული სამუშაო განხორციელდა პროცედურების დაცვით (იხ. ფოტო №1).

ფოტო №1. ნაჭივჭავები, KP 85(03_03.11.28_ID_033). ძეგლის აღმოჩენის პროცედურა დაცულია. KP 85

KP 85-ზე მისვლა წინასწარ არ იყო დაგეგმილი. იქ შევჩერდით გეგმით გათვალისწინებულ ძეგლზე (KP 120) მგზავრობისას. აუდიტის ჯგუფის ვიზიტის დროს ამ ტერიტორიაზე მუშაობდა მძიმე ტექნიკა და ასრულებდა ნიადაგის აღდგენის სამუშაოებს, რაც მიმდინარეობდა როგორც კომპანიის კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცრის, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველის მეთვალყურეობის გარეშე (იხ. ფოტო №2). არქეოლოგიური ძეგლის ტერიტორია არ იყო შემოღობილი და მასზე არ იყო განთავსებული სათანადო გამაფრთხილებელი ნიშანი.

კულტურული მემკვიდრეობის პროგრამის კოორდინატორმა შეაჩერა სამუშაოები. გამოიძახა საველე ოფიცერი და მშენებლობის ზედამხედველი. მშენებლობის ზედამხედველი ახლოს იმყოფებოდა და სწრაფად მოვიდა. საველე ოფიცერი კი უფრო შორს იყო და ჩვენ მის მოსვლამდე გავემგზავრეთ.

3.1.1. მონიტორინგი

ვალდებულება: კომპანიის სავალდებულო მოთხოვნით, რომელიც მოცემულია კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმაში, პარაგრაფი 6.2. აღნიშნულია, რომ *"არქეოლოგიური ძეგლის აღმოჩენის შემთხვევაში .... ამოქმედდება არქეოლოგიური მონიტორინგი (რაც ესახურება მიწის გაწმენდას, ზედაპირის დამუშავებას, პროფილირებას და ა.შ.)"*. აგრეთვე, კულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელოს №3 ვალდებულებიგან გამომდინარე (პარაგრაფი 1.0), კულტურული

მემკვიდრეობის საველე კოორდინატორის ან კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცრის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად *''კონტრაქტორი ვალდებულია კულტურული მემკვიდრეობის საველე კოოორდინატორს აცნობოს ყველა იმ დაგეგმილი სამუშაოების შესახებ, რომელიც მოიცავს მიწის გათხრის სამუშაოებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას არქეოლოგიური მონიტორინგი კულტურული მემკვიდრეობის საველე კოორდინატორის ან კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცრის მონაწილეობით. კონტრაქტორს ევალება კულტურული მემკვიდრეობის საველე კოორდინატორის ინფორმირება მიწის გათხრის დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ამ სამუშაოების დაწყებიდან ერთი კვირით ადრე, რათა მას მიეცეს შესაძლებლობა, რომ მომავალი სამუშაოების ადგილზე გააგზავნოს კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურეები (მონიტორები). ამ მოთხოვნის შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არქეოლოგიური თვალსაზრისით მაღალი მგრძნობიარობით გამორჩეული უბნების მიმართ''* (კულტურული მემკვიდერობის საველე სახელმძღვანელო. პარაგრაფი 2.3).

დაკვირვება: ჩვენი მისვლისას, (15.05.06.) ნიადაგის აღდგენით სამუშაოებს აწარმოებდა მძიმე სამშენებლო ტექნიკა დერეფნის იმ მონაკვეთში, სადაც უშუალოდ მდებარეობს აღნიშნული ძეგლის ხელუხლებელი, ჯერ შეუსწავლელი ფენები (იხ. ფოტო №1). სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა საველე ოფიცრის მონიტორინგის გარეშე, რითაც იქმნებოდა ამ უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლის დაზიანების ან განადგურების საფრთხე.

ფოტო №2. ნაჭივჭავები, KP 85. ძეგლზე აუდიტის ჯგუფის მისვლისას (15.05.06) მიმდინარეობდა ნიადაგის აღდგენის სამუშაოები.

მიგნება:

დადებითი: კულტურული მემკვიდრეობის პროგრამის კოორდინატორმა გამოიყენა ''AGT პროექტის პროცედურა – მუშაობის შეჩერება'' (ESMS 3.4.6.2 AGT004-0000-HS—PRO-00009), მაშინვე შეაჩერა მიმდინარე სამუშაოები და საველე ოფიცრის დაუყოვნებელი მოსვლის განკარგულება გასცა.

უარყოფითი: ტერიტორიაზე, სადაც აღმოჩნდა არქეოლოგიური ძეგლი ნიადაგის აღდგენის სამუშაოები მიმდინარეობდა საველე ოფიცრის მონიტორინგის გარეშე, რაც არ შეესაბამება კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის 6.2 პარაგრაფს (ჯგუფს მიაჩნია, რომ სიტყვა ''და ა. შ.'' აღნიშნულ ვალდებულებაში: *"არქეოლოგიური ძეგლის აღმოჩენის შემთხვევაში .... ამოქმედდება არქეოლოგიური მონიტორინგი (რაც ესახურება მიწის გაწმენდას, ზედაპირის დამუშავებას, პროფილირებას და ა.შ.)"*, გულისხმობს აგრეთვე ნიადაგის აღდგენის სამუშაოებს, რაც ასევე საფრთხეს უქმნის კულტურულ ფენებს) და კულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელოს 2.3 პარაგრაფით დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებს.

მნიშვნელობა: აღწერილი შეუსაბამობა II დონეს მიეკუთვნება, არქეოლოგიურ ძეგლზე მიმდინარე სამუშაოების დროს მონიტორინგის არარსებობა ქმნის ისეთ შეუსაბამო სიტუაციას, რომელსაც ჯერ არ გამოუწვევია ძეგლის დაზიანება, მაგრამ პრევენციული და საკორექციო ზომები დაუყონებლივ არის გასატარებელი, რადგან საფრთხე სერიოზულია და მისი გამეორება უკვე III დონის შეუსაბამობად გადაიქცევა.

რეკომენდაცია: კომპანიამ უნდა გაამკაცროს კონტროლი მილსადენის დერეფანში არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებზე მიმდინარე ნებისმიერი სახის სამუშაოებზე, არ დაუშვას ასეთ ადგილებზე სამუშაოთა წარმოება შესაბამისი სპეციალისტების მონიტორინგის გარეშე. აქ აგრეთვე უნდა გამკაცრდეს ხელმძღვანელთა მხრიდან კონტროლი მონიტორინგზე. ძეგლებზე საჭიროა არქეოლოგიური საველე ოფიცრების საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფა. დაცული უნდა იყოს სისტემატიური შემოწმება და კონტროლი კონტრაქტორების დღიური სამუშაო განრიგისა, რაც დროულად გააფრთხილებს მონიტორებს განრიგის ნებისმიერ ცვლილებებზე.

3.1.2 არქეოლოგიურ ძეგლზე გამაფრთხილებელი ნიშნის არარსებობა

ვალდებულება: კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ კულტურული მემკვიდრების ადგილები *''შონიშნული იქნება გამაფრთხილებელი ნიშნებით, რომელსაც კონტრაქტორი BTC-ის კულტურული მემკვიდრეობის*

საველე კოორდინატორის მოთხოვნის შესაბამისად განათავსებს". (კულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელო, პარაგრაფი 2.1) წინასწარ შემუშავებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც აღწერილია კულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელოში (პარაგრაფი 3.0)

დაკვირვება: ძეგლის ტერიტორიაზე არ არსებობს სავალდებულო პროცედურით გათვალისწინებული გამაფრთხილებელი ნიშანი, რაც მშენებლებს ამცნობდა არქეოლოგიური ძეგლის არსებობას.

მიგნება

უარყოფითი:

ტერიტორია, სადაც აღმოჩნდა უაღრესად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი, არ იყო დაცული გამაფრთხილებელი ნიშნით, რაც არ შეესაბამება კულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელოს სავალდებულო მოთხოვნებს, რომლის მიხედვით არქეოლოგიური ძეგლის ტერიტორია მონიშნული უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშნით.

მნიშვნელობა: აღწერილი შეუსაბამობა II დონეს მიეკუთვნება, გამაფრთხილებელი ნიშნის არარსებობა არქეოლოგიურ ადგილზე ქმნის ძეგლის დაზიანების და განადგურების რეალურ საშიშროებას. არქეოლოგიურ ძეგლზე ის სასწრაფოდ უნდა განთავსდეს, რათა უზრუნველყოთ ძეგლის დაცვა და თავიდან ავირიდოთ გამოუსწორებელი შედეგები.

რეკომენდაცია: კულტურული მემკვიდრეობის საველე კოორდინატორის მოთხოვნის შესაბამისად, კონტრაქტორმა აღნიშნული ტერიტორია დაუყოვნებლივ უნდა მონიშნოს გამაფრთხილებელი ნიშნით, რომლის ნიმუში აღწერილიაკულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელოში (პარაგრაფი 3.0). კონტრაქტორი საჭიროებს მუდმივ შეხსენებას საკუთარ პასუხისმგელობაზე და ზრუნვას გამაფრთხილებელი ნიშნის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.

3.2 KP 120, საფარ-ხარაბა

წალკის რაიონში, სოფ. საფარ-ხარაბას ჩრდილოეთით, ენერგოდერეფნის 119-120 კილომეტრებზე კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის IV ფაზის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის სამაროვანი (იხ. რუკაზე KP 120, ფოტო №3), რომელზედაც ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები.

ფოტო №3. საფარ-ხარაბა, KP 120 (051210KP120 Burial No116 overview). გათხრილი სამარხი

ძეგლი აღმოჩნდა 2003 წლის სექტემბერში მიწის სამუშაოების, კერძოდ ნიადაგის ფენის მოხსნის პროცესში, კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცრის მონიტორინგისას.

მოწვეულ იქნა არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, რომელთან ერთადაც BP-ის კულტურული მემკვიდრეობის კოორდინატორმა და კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცერმა ერთად მოინახულეს ეს ადგილი და აქ დამატებით სამარხებსაც მიაკვლიეს. ძეგლის ხასიათი თავიდანვე განისაზღვრა, როგორც სავარაუდო სამაროვანი. ამ ძეგლზე არსებული დოკუმენტები შეიცავს დღიურ ანგარიშებს და ფოტოებს. BTC-ის მილისათვის განკუთვნილ დერეფანში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. გაითხარა სამარხები, რომლებიც ამ მილსადენის გასწვრივ და მის გარშემო მდებარეობდა. სამარხები დათარიღდა შუაბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის პერიოდით.

არ გაითხარა მილებს შორის არსებული ტერიტორია (50 მეტრის სიგრძეზე) რომელიც გზად იქნა გამოყენებული (იხ. KP 120 გ. ნარიმანიშვილის ანგარიში წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საქმიანობაზე, 2000 წლის სექტემბერ-ოქტომბერი). ეს ადგილი დაიფარა გეოტექსტილით და ხრეშით. ნიადაგის აღდგენის პროცედურას BTC-ის ზოლში ჩაუტარდა მონიტორინგი.

SCP-იზე ჩატარებული სამუშაოებისას (ნიადაგის მოხსნა) ყველა პროცედურის დაცვით განხორციელდა მონიტორინგი და არქეოლოგიური გათხრები (კულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელო 3.0). BTC-ის ზოლში მოპოვებული მასალა დამუშავდა ლაბორატორიულად და მომზადდა გამოსაცემად (კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა 6.2). დაიწყო SCP-ის ზოლში მოპოვებული მასალის ლაბორატორიული

დამუშავება. ძეგლის აღმოჩენა, მისი დაცვა და არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა ყველა პროცედურის დაცვით.

ძეგლზე აუდიტის ჯგუფის მისვლისას (15.05.06) KP 120-ზე სამუშაოები არ მიმდინარეობდა. ენერგოდერეფნის ჩრდილოეთ კიდეზე დაგვხვდა დასაწყობებული ნიადაგი, რომელიც ახლო მომავალში უნდა გაიშალოს და მოხდეს ნიადაგის აღდგენა.

3.2.1. დერეფნის კიდეზე მოწყობილია არაოფიციალური სამაქანო გზა

ვალდებულება: კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის 1.1 პარაგრაფის მიხედვით: *"პროექტის ფარგლებში შემუშავდა კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა, რაც თავიდან აგვარიდებს და/ან მინიმუმამდე დაიყვანს მილსადენის, თანმხლები ობიექტებისა და გზების მშენებლობით გამოწვეულ არასასურველ ზეგავლენას არქეოლოგიური და ისტორიული ღირებულების ადგილებზე."* ტრანსპორტის მართვის, აგრეთვე "კონტრაქტორის საკონტროლო გეგმის, ტრანსპორტის მართვა. გვ. 19, 3.2.2, მისასვლელი გზების შერჩევა და მართვა" მიხედვით *"ადგილზე მისვლა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტულად დადგენილი გზებით. ძირითადი მისასვლელი გზები მშენებლობის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არქეოლოგიური, ეკოლოგიურად მგრძნობიარე ადგილების, მდინარეების გადაკვეთის წერტილების, სკოლების და ფეხით მოსიარულეთა ადგილების არსებობის ფაქტორები. ახალი, დროებითი და მუდმივი მისასვლელი გზების შეფასებისა და ადგილმდებარეობის განსაზღვრის წესი და პროცედურა ტრანსპორტის მართვის CIPP-ში უნდა იქნეს განსაზღვრული. ამგვარ წესებში უნდა შედიოდეს ახალი გზების მშენებლობასთან დაკავშირებული გარემოს და სოციალური ზიანის შეფასებისა და წინასწარი კვლევითი სამუშაოების ჩატარების წესები."*

დაკვირევება: KP 120-ის დერეფნის ჩრდილოეთით, უშუალოდ დერეფნის კიდეზე მოწყობილია არაოფიციალური სამანქანო გზა, წვიმიანი დღეების გამო აქ სატვირთო მანქანების ღრმა ნაკვალევი ჩანს. თვითონ მანქანები ჩვენ არ შეგვინიშნავს, მაგრამ ჩვენ მიერ ნახსენები გზა უერთდება ენერგოდერეფანს, რაც იმის დასტურად გამოდგება, რომ მას სწორედ მშენებლები იყენებდნენ (იხ. ფოტო №4, №5).

ფოტო №4. საფარ-ხარაბა, KP 120 (15 მაისი, 2006). მანქანების კვალი.

ფოტო №5. საფარ-ხარაბა, KP 120 (15 მაისი, 2006). მანქანების კვალი უერთდება ენერგოდერეფანს.

მიგნება:

უარყოფითი: KP 120-ის დერეფნის ჩრდილოეთით, უშუალოდ დერეფნის კიდეზე მოწყობილ სამანქანო გზაზე სატვირთო მანქანების ღრმა ნაკვალევი ჩანს. აქ მოსიარულე ტრანსპორტმა შეიძლება ძეგლი დაზიანოს, ამიტომ ამ გზაზე მანქანების მოძრაობა დაუშვებელია. არსებული რეალობა არ შეესაბამება კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს: კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა, პარაგრაფი 1.1, აგრეთვე კონტრაქტორის საკონტროლო გეგმას, ტრანსპორტის მართვა, გვ. 19, 3.2.2.

მნიშვნელობა: აღწერილი შეუსაბამობა II დონეს მიეკუთვნება, სიტუაცია შეუსაბამოა, რადგან აღნიშნული გზის მოწყობა არ შეესატყვისება საწყის მოთხოვნებს, მაგრამ ჯერჯერობით არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი დაზიანება და მოითხოვს საკორექციო ზომების დაუყონებლივ გატარებას.

რეკომენდაცია: კომპანიამ უნდა უზრუნველყოს KP 120-ის დერეფნის ჩრდილოეთით, უშუალოდ დერეფნის კიდეზე მოწყობილი სამაქანო გზის გაუქმება, უნდა აიკრძალოს კომპანიის მანქანების აქ მოძრაობა. ეს შესაძლოა განხორციელდეს მისასვლელი ადგილის ლოდებით გადაკეტვით.

3.2.2 არქეოლოგიური ძეგლის ნაწილი შესასწავლია

დაკვირვება: არ არის გათხრილი ნავთობსადენსა და გაზსადენს შორის არსებული ტერიტორია, (იგი გამოიყენებოდა, როგორც გზა) რომელიც თავიდანვე იქნა განსაზღვრული, როგორც სამაროვნის გავრცელების უშუალო არეალი.

მართალია ძეგლის გაუთხრელი ფართობი დაცულია გეოტექსტილითა და ხრეშით, მაგრამ იგი გარკვეული ხნის განმავლობაში იყო ღია, რაც აუცილებლად გამოიწვევდა კლიმატურ ცვლილებას ნიადაგის სიღრმეში და შესაბამისად დააზიანებდა არქეოლოგიურ ძეგლს. ამავე დროს, ეს ტერიტორია დაცვითი ღონისძიებების ჩატარების შემდეგ გამოიყენებოდა მძიმე ტექნიკის გადასაადგილებლად, რისგან გამოწვეული ვიბრაციაც ძეგლისათვის შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს.

მიგნება: ჯგუფის ხანგრძლივი პროფესიული გამოცდლებიდან გამომდინარე, რომელიც ეყრდნობა საერთშორისო ქარტიებსა და მეთოდოლოგიას, ვასკვნით, რომ მძიმე ტექნიკის ვიბრაციის ზეგავლენის შედეგად ძეგლის დაზიანების საფრთხე სავსებით რეალურია.

რეკომენდაცია: აუცილებლად უნდა გაითხაროს დერეფანში, კერძოდ მის ცენტრში, გზად გამოყენებულ ტერიტორიაზე არსებული სამარხები. თუ მსგავსი სიტუაცია განმეორდება მომავალ პროექტებში, სასურველია, რომ მილსადენის დერეფანში არსებული ტერიტორია მთლიანად გაითხაროს.

3.3 KP 185, ციხისჯვარი

KP 185 მდებარეობს ბორჯომის რაიონში, სოფ. ციხისჯვრის სამხრეთით, 1 კილომეტრში. (ფოტო №6, №7). ძეგლის ტიპი: განვითარებული შუა საუკუნეების ნასახლარი და ნაეკლესიარი.

მილსადენის პროექტის კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის III ფაზაზე ამ ძეგლის ზედაპირული კვლევითი სამუშაოები ჩაატარა საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სპეციალისტთა ჯგუფმა. მათ მიერ მომზადებულ ანგარიშში ამ ადგილზე №14 ძეგლად მითითებულია განვითარებული შუა საუკუნეების ხანის ქართული ნაეკლესიარი და მასზე დაშენებული XX ს-ის ბერძნული ეკლესია, აგრეთვე მის გარშემო მდებარე უცნობი დანიშნულების ისტორიული ნაგებობების ნაშთები. ძეგლის უკიდურესი სამხრეთი მიჯნა ვრცელდებოდა გასხვისების დერეფნის 10 მ-ის მოშორებით. BTC-მ ამ მონაკვეთზე დააფინანსა დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები.

ფოტო №6. ციხისჯვარი, KP 185 (KP185BPGM14_06_AT). ძეგლს მშენებლებმა გვერდი აუარეს

არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 2004 წ 15-30 ივნისს. ამ კვლევის შედეგად წარმოიქმნა მოსაზრება, რომ აღნიშნული ხუროთმოძღვრული კომპლექსის შემადგენელი ერთ-ერთი ნაგებობის ნაშთი, რომელიც სანახევროდ მოქცეული იყო მილსადენის დერეფანში, ადრეული შუა საუკუნეებიდან განვითარებულ შუა საუკუნეებისკენ გარდამავალი ხანის დარბაზული ეკლესიის ნაშთს წარმოადგენდა (იხ. გ. ღამბაშიძის ანგარიში KP 185 ტექნიკური პროექტი). შესაბამისად, SCP-ის თხრილმა აღნიშნული განათხარი ნაგებობიდან 2-3 მ-ის სამხრეთით, დაახლოებით 30 მეტრის სიგრძეზე გადაინაცვლა.

3.3.1 ძეგლი დაუკონსერვებელია

ვალდებულება: პროექტის კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის მიხედვით, *„არქეოლოგიური მონიტორინგის პერსონალი IV ფაზაზე*

ვალდებულია დაადასტუროს მეორე და მესამე ფაზებში გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების დაცვის ზომების განხორციელების ეფექტურობა. ამისათვის მათ შეუძლიათ მიმართონ შესაბამის ექსპერტიზას„ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში არქეოლოგიური კვლევის ცენტრს) (კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა, პარაგრაფი 6.3)

დაკვირვება: ძეგლზე ჩვენი მისვლისას (08.06.06) განათხარი ეკლესია, რომელსაც მილსადენის თავდაპირველი მარშრუტით განადგურება ემუქრებოდა, უკვე მილსადენის დერეფნის გარეთ იყო მოქცეული.

აუდიტის ჯგუფის ადგილზე ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ აღნიშნული არქეოლოგიურად შესწავლილი ძეგლი (ეკლესია) დაუკონსერვებელია. ვინაიდან ის მიწის თუ თიხის სუსტ შემკვრელზეა ნაგები, ძეგლი თავისით, მეტეოროლოგიური პირობების ზემოქმედებით ნელ-ნელა ზიანდება. ამ პერიოდისთვის უკვე მოახლოებულია მილსადენის დერეფანის ამ მონაკვეთზე მიწის ზედაპირის აღსადგენი სამუშაოები, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ისედაც დაშლის პირას მისულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

ფოტო №7. ციხისჯვარი, KP 185. ძეგლის გათხრილი ნაწილის კონსერვაცია ყოვნდება

მშენებელი კომპანიის კულტურული მემკვიდრეობის კოორდინატორთან ადგილზე ჩატარებული ინტერვიუთი შევიტყვეთ, რომ ძეგლის დაუცველობის მიზეზია არქეოლოგიის ინსტიტუტსა BTC–ს შორის მიუღწეველი შეთანხმება, რომელზეც დამოკიდებულია მისი შემდგომ ბედი – არქეოლოგიური კვლევის დაფინანსება ან მისი ადგილზე დაკონსერვება.

მიგნება

დადებითი: გასხვისების დერეფანში მდებარე ძეგლს BTC/SCP-ის მშენებელმა კომპანიამ გვერდი აუარა.

უარყოფითი: მილსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე არ ხდება ისეთი ძეგლის დაცვა და კონსევრაცია, რომელიც ცნობილი იყო II და III ფაზების დროს.

მნიშვნელობა: აღწერილი შეუსაბამობა II დონეს მიეკუთვნება, სიტუაცია არადამაკმაყოფილებელია. არქეოლოგიური ძეგლი შეიძლება დაზიანდეს როგორც მილსადენის დერეფანში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების დროს ასევე მშენებლობის შემდგომ, რადგან არ მომხდარა მისი დაცვა და კონსერვაცია.

რეკომენდაცია: კომპანიამ დაუყონებლივ უნდა უზრუნველყოს ძეგლის დაცვა და კონსერვაცია.

3.4 KP 203, თისელი

KP 203 მდებარეობს ბორჯომის რაიონში, სოფ. ტაძრისიდან სამხრეთ-დასავლეთით 1 კმ-ში (იხ. რუკაზე KP 202+900. ფოტო №10). ძეგლის ტიპი: ადრე ბრინჯაოს ხანის (მტკვარ-არაქსის კულტურის) ნამოსახლარი და სამაროვანი (ძვ. წ. IV-III ათასწლეული).

ბორჯომის რაიონში, ენერგოდერეფნის ამ მონაკვეთზე არქეოლოგიური ძეგლის არსებობის შესახებ ცნობილი გახდა სამუშაოების IV, სამშენებლო ფაზაზე. BTC მილსადენის ჩაწყობის შემდეგ, ანტიეროზიული სამუშაოებისას მიწის სიღრმეში გამოჩნდა მტკვარ-არაქსის პერიოდის (ადრე ბრინჯაოს ხანის) ნამოსახლარის და სამაროვნის ნაშთები, იმავე პერიოდის არტეფაქტები.

ეს ძეგლი პირველად დააფიქსირა მშენებელი კომპანიის ტექნიკურმა პერსონალმა. კომპანიის კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცერთან შეთანხმების შედეგად სამუშაოები შეჩერდა.

ფოტო №8. თისელი, KP 203 (KP202+900). ძეგლის აღმოჩენა

ძეგლის არქეოლოგიურად შესწავლის შესახებ კონტრაქტი დაიდო სამშენებლო კომპანიასა და არქეოლოგიის ინსტიტუტს შორის. არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა 21-22.11.2004წ და 02-10.06.2005წ-ში. არქეოლოგიის ინსიტუტს ნება დაერთო ჩაეჭრა გასხვისების დერეფნის კიდე, სადაც ძეგლის ჭრილი მოჩანდა.

დაკვირვება: აუდიტის ჯგუფის წევრების ძეგლზე მისვლისას (09.06.06) ნიადაგის აღსადგენი სამუშაოები დასრულებული არ იყო. ინფორმაცია აქ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ მივიღეთ პროექტის კულტურული მემკვიდრეობის კოორდინატორთან ჩატარებული ინტერვიუდან და მშენებელი კომპანიის მიერ ჩვენთვის გადმოცემული დოკუმენტაციის საფუძველზე.

BTC-იმ არქეოლოგიის ინსტიტუტს საშუალება მისცა ჩაეტარებინა გადარჩენითი სამუშაოები დერეფნის კიდეში, 1 მ.-ის. სიღრმეში.

მიგნება: ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით BTC/SCP -ის მოქმედებები ამ არქეოლოგიურ ძეგლებთან მიმართებაში სრულად შეესაბამებოდა კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო პროცედურებს.

3.5. KP 225, სოფ. კლდე, ნავენახარის ნამოსახლარი

KP 225 მდებარეობს ახალციხის რაიონში, ახალციხიდან ჩრდილოეთით, 3 კილომეტრის დაშორებით, სოფ. კლდის მიდამოებში, (იხ. რუკა № 2. ფოტო №9, №10). ძეგლი 2003 წელს აღმოაჩინა BTC გარემოს დაცვის ოფიცერმა. დამატებითი ზომები მიღებულ იქნა ტექნიკის სადგომისათვის ტერიტორიაზე მიწის ზედაპირის მოხსნისას. (იხ. კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცრის ყოველდღიური ანგარიში 09.01.04.).

ფოტო №9. კლდე, KP 225 (04.04.02– NE). აღმოჩენისთანავე ძეგლი შემოიღობა

ნიადაგის ფენის მოხსნის პროცესში, ამავე ადგილზე ისევ აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები (ყოველდღიური ანგარიში, 03.04,04; და ყოველდღიური ანგარიში 03.24,04; დართული ფოტოებით). ძეგლი შემოიღობა (ყოველდღიური ანგარიში 04.02.04). არქეოლოგიის ინსტიტუტთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე (იხ. კონტრაქტი C-03-BTC-52927 # HL 036) დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები, რომელიც მიმდინარეობდა 2004-2005 წლებში. გაითხარა და დაფიქსირდა დიდი მოცულობის სამაროვანი და ნასახლარი, მოპოვებულია ინფორმაცია ანტიკური ხანის დასასრულისა და ადრეშუასაუკუნეების მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებზე, დაკრძალვის წესებზე, საყოფაცხოვრებო და რიტუალურ ნივთებზე, ამ დროის მცენარეულ საფარსა და სხვ.

ფოტო №10. კლდე, KP 225 ((04.05.14. IV- 217 KP225). მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები

ძეგლის აღმოჩენა, მისი დაცვა და არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა ყველა პროცედურის დაცვით. სამუშაო ჯგუფის ძეგლზე მისვლისას (08.05.06) ნიადაგი უკვე მოსწორებული იყო და ძირითადად დასრულებული იყო მიწის ზედაპირის აღდგენითი სამუშაოები. ინფორმაცია აქ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ მივიღეთ პროექტის კულტურული მემკვიდრეობის კოორდინატორისაგან და მშენებელი კომპანიის მიერ ჩვენთვის გადმოცემული დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.5.1 KP 225-ზე გაუთხრელად დატოვებული ძეგლი დაზიანდა

დაკვირვება: ძეგლზე გაითხარა 24 შენობა და შენობის ნაშთი, 94 სამარხი და განიერი კედლების ფრაგმენტები, ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა მილსადენის დერეფნის დიდი ფართობი მოიცვა. დერეფნის იმ მონაკვეთში, სადაც ძეგლის ნაწილი გაუთხრელად იქნა დატოვებული, მილისათვის დამცავი ფენის დადებისას დაზიანდა ერთი სამარხი. გვიანი აღმოიჩენების პროტოკოლის მოთხოვნების გათვალისწინებით სამუშაო შეჩერდა და კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცერს მიეწოდა ინფორმაცია (იხ. D.R. 04.08.14. N.T., D.R. 04.08.14. V.S., D.R. 04.14.21. Z.T., D.R. 04.12.28. V.S.).

მიგნება:

დადებითი: მილსადენის დიდ ფართობზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების გათხრა და შესწავლა ჩატარდა სავადებულო პროცედურის სრული დაცვით. BTC/SCP-ის მიერ დაფინანსდა არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა.

რეკომენდაცია: ჯგუფის აზრით, ძეგლის დაზიანების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია გასხვისების დერეფანში მოქცეული არქეოლოგიური ძეგლის მთლიანად გათხრა.

3.6 გასხვისების დერეფნის გარეთ არსებული არქიტექტურული ძეგლები

დაკვირვება: აუდიტის ჯგუფმა არქეოლოგიური ძეგლების გარდა მოინახულა დერეფნის გარეთ არსებული არქიტექტურული ძეგლები (იხ. რუკა №2, ფოტოები №11, №12 და №13), რომლებზეც კომპანიამ ჩაატარა სხვადასხვა მიმართულების სამუშაოები, მათ შორის აღდგენითი. მონახულებული ძეგლებიდან ორს – აწყურისა და საკირეს ციხის, აგრეთვე მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ეკლესიისა და სხვა ნაგებობების ნაშთების უსაფრთხოების თაობაზე კომპანიამ ჩაატარა საინჟინრო კვლევა. მშენებლობის დროს მიმდინარე ვიბრაციის შესწავლით დადგინდა, რომ ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს საფრთხეს არ უქმნიდა.

ფოტო №11. აწყურის ციხე

კომპანიის გადაწყვეტილებით, გადაწყდა მილსადენის სიახლოვეს არსებული ერთი არქიტექტურული ძეგლის – წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის (რომელიც ტაძრისის სამონასტრო კომპლექსის ნაწილია) რესტავრაციის დაფინანსება. შერჩევა მოხდა მისი ისტორიული მნიშვნელობის, აღდგენის შესაძლებლობისა და ფინანსური დანახარჯების გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოთ, რომ კომპანიის ეს გადაწყვეტილება ერთპიროვნულად არ მომხდარა. გარდა იმისა, რომ დისკუსიები მიმდინარეობდა შესაბამის ადგილობრივ სახელმწიფო ორგანიზაციებთან.

ფოტო №12. საკირეს ციხე

ამ საკითხის გადასაჭრელად BP-ის მიერ მოწვეულ იქნა საერთაშორისო ექსპერტი ფრედ ჰოლიკროსი. ის გაეცნო არსებულ სიტუაციას, შეისწავლა წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და მისი დასკვნების მიხედვით აღდგენისათვის შერჩეული ძეგლებიდან: აწყურის ციხე, საკირეს კომპლექსი და ტაძრისი.

ტაძრისის X საუკუნის სამონასტრო კომპლექსი და კონკრეტულად მისი ცენტრალური ეკლესია, სამეკლესიიანი ბაზილიკის ნანგრევები, მდებარეობს გასხვისების დერეფნიდან სამხრეთით დაახლოებით 200 მეტრში. ის დაფიქსირებული იყო როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის I ფაზაზე და შესწავლილ იქნა II-III ფაზაზე.

ძეგლის რესტავრაციის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დაევალა ICOMOS-ის საქართველოს რეგიონალურ კომიტეტს (ხელმძღვანელი მ. ბოჭოიძე). სამეცნიერო-კვლევითი და სამშენებლო სამუშაოები ძეგლზე ჩატარდა 2004-2005 წლების განმავლობაში.

ფოტო №13. ტაძრისის ეკლესია

თლილი ქვის წყობით აღდგა ტაძრის ცენტრალური ეკლესიის კედლები გადახურვის კამარამდე. კამარა შესრულდა ხის მასალით. მოეწყო თუნუქის სახურავი. ძეგლს გარშემო გაუკეთდა სარინელი, ნაწილობრივი კონსერვაცია ჩაუტარდა აგრეთვე გვერდითა ეკლესიებს და მინაშენებს. ნადარბაზევის კომპლექსზე ჩატარდა წინასწარი კვლევითი სამუშაო. ძეგლს დაზიანება არ ემუქრებოდა, ამიტომაც აქ შემდგომი სამუშაო არ დაგეგმილა. აუდიტის ჯგუფის აზრით, ზემოთხსენებული სამუშაოები კომპანიამ და მისმა კონტრაქტორებმა წარმატებულად ჩაატარეს.

4. დასკვნები და რეკომენდაციები

1. დასრულდა BTC/SCP-ის მშენებლობა და დაიწყო მისი ექსპლუატაციის ფაზა, რაც მომავალში რეგიონის ენერგოუსაფრთხოების ერთერთი ძირითადი გარანტი უნდა იყოს. საქართველოსათვის, როგორც პროექტის მონაწილე ქვეყნისათვის, ეკონომიკური დივიდენდების გარდა, მნიშვნელოვანია, რომ მისი ისტორიული მემკვიდრეობა დაცული იყოს. კულტურული მემკვიდრეობა საქართველოსათვის არის როგორც ისტორიული მეხსიერებისა და ეროვნული სიამაყის საფუძველი, ასევე მისი მომავალი ეკონომიკური განვითარების ერთერთი წყარო, რაშიაც კულტურულმა და ეკოტურიზმმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს;

2. გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი მასშტაბისა და მოცულობის პროექტი საქართველოში პირველად განხორციელდა. ამასთან, ამდაგვარი პროექტები მომავალშიაც იგეგმება, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით ჩატარებული სამუშაოს ობიექტური შეფასება;

3. აუდიტის სამუშაო ჯგუფმა სწორედ ამ გადასახედიდან სცადა შეესწავლა, რამდენად სწორად ჩატარდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამუშაოები. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად მცირეოდენი უკმარისობის გრძნობისა, ჯგუფის აზრით, შედეგი მთლიანობაში დადებითია და ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება.

4. მშენებლობის მწარმოებელმა კომპანიამ წინასწარ შეიმუშავა რიგი დოკუმენტები, რომლის საფუძველზედაც უნდა განხორციელებულიყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვითი ღონისძიებები. ამ დოკუმენტებში გათვალისწინებული იყო საერთაშორისო და ქართული კანონმდებლობითი აქტები, აგრეთვე მსგავსი პროექტების განხორციელების საუკეთესო გამოცდილება.

5. სამუშაოები დაიყო პირობით 4 ფაზად, რაც ითვალისწინებდა მშენებლობასთან დაკავშირებული რეგიონების კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, გასხვისების დერეფანის სავარაუდო ტრასის დაზვერვებს, ძეგლების ნუსხის შედგენას, წინასწარულ საველე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას, და უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების დროს გამოვლენილი, მანამდე უცნობი არქეოლოგიური ძეგლების მეცნიერულ კვლევას (ძეგლის გათხრა, დოკუმენტირება, მასალის დამუშავება და მიღებული შედეგების გამოქვეყნება).

6. BTC/SCP-ის შემუშავებული დოკუმენტების საფუძველზე დაიწყო დასახული მიზნების გეგმაზომიერი განხორციელება, რამაც ასახვა პოვა შესაბამის დოკუმენტებში (ძეგლების ნუსხა, დაზვერვების ანგარიშები და სხვ.), რამაც შესაძლებელი გახადა, რომ მილსადენის ტრასას მინიმალური ზიანი მიეყენებინა კულტურული მემკვიდრეობისათვის: ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ რამდენიმე შემთხვევაში ისტორიული ძეგლების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, მილსადენის მარშრუტი შეიცვალა

7. სამშენებლო სამუშაოების დაწყებისთანავე ამოქმედდა მონიტორინგის სამსახური, რომელიც მიწისქვეშა ძეგლების დროულ აღმოჩენასა და მათი დაზიანების აღკვეთას ემსახურებოდა. ძეგლების აღმოჩენის შემთხვევაში საქმეში ერთვებოდა კომპანიის კონტრაქტორი, არქეოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც მიკვლეული ძეგლის გათხრებს აწარმოებდა.

8. ამის შედეგი იყო ის, რომ მშენებლობის განმავლობაში არ დაზიანებულა არც ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლი, ამასთან, კომპანიის კეთილი ნებით რესტავრაცია ჩაუტარდა IX-X საუკუნეების ტაძრისის მონასტრის მთავარ ეკლესიას, რომელიც გასხვისების დერეფნის მოშორებით მდებარეობს. რაც შეეხება ტრასის მიმდებარე სხვა ისტორიულ ძეგლებს, იქ მშენებლობისას რეგულარულად ტარდებოდა ექსპერტიზა (ვიბრაციის ტესტირება) მათზე შესაძლო მავნე ზემოქმედების გამოსავლენად, თუმცა ასეთი შემთხვევა არ დადასტურებულა.

9. არქეოლოგიურ ძეგლებთან მიმართებაში ასეთმა მიდგომამ დროულად გამოავლინა მრავალი ძეგლი, რომელიც არქეოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიციებმა შეისწავლეს. მილსადენზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა მრავალი სასიკეთო სიახლე მოიტანა: რამოდენიმე არქეოლოგიურმა ძეგლმა უაღრესად საინტერესო შედეგი მოგვცა საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სრულიად ახლებურად გასააზრებლად; ქართველმა არქეოლოგებმა მიიღეს ფართომასშტაბიან მშენებლობებზე მუშაობის მდიდარი გამოცდილება; ახალგაზრდა თაობამ გაიღრმავა ცოდნა სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე მუშაობის მეთოდიკაში; მუზეუმების კოლექციები გამდიდრდა უაღრესად საყურადღებო ექსპონატებით, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ქართული კულტურული მემკვიდრეობის შემდგომ პოპულარიზაციას.

10. მიუხედავად აღნიშნული პოზიტიური შედეგებისა, მიგვაჩნია, რომ კომპანიის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური მიმდინარე სამუშაოების სათანადოდ წარმართვას ყოველთვის ერთნაირი წარმატებით ვერ უძღვებოდა, ამიტომაც შენიშვნებთან ერთად აუდიტის ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც ეხება არა მხოლოდ კომპანიასა და მის კონტრაქტორებს, არამედ სახელმწიფოსაც:

ა) აუდიტის ჯგუფის მიერ დაფიქსირებული იქნა, რომ ზოგიერთი არქეოლოგიური ძეგლი სამშენებლო სამუშაოებისას ნაწილობრივ დაზიანდა. მართალია, ასეთი შემთხვევები ცოტაა და დიდი მშენებლობისას მსგავსი შემთხვევები გარდაუვალია, მაგრამ ჩვენი აზრით, მომავალში კომპანიის მონიტორინგის სამსახურის კიდევ უფრო გაძლიერება (ვგულისხმობთ საველე ოფიცრების რაოდენობის გაზრდას და მათ შერჩევას პროფესიული დონის გათვალისწინებით, სამშენებლო პერსონალისათვის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ დამატებითი ტრეინინგების ჩატარებას).

ბ) გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ასეთი გრანდიოზული პროექტების დროს სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებს თავისი მონიტორებიც უნდა ჰყავდეს, რომლებიც კომპანიის მონიტორებთან ერთად

იმუშავებენ სამშენებლო ადგილებზე. გასაგებია, რომ მიწას კომპანია ყიდულობს და ეს მისი საკუთრება ხდება, მაგრამ აქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის მფლობელი საქართველოა. ამიტომ სახელმწიფომ, ამ პროცესში არსებითი წვლილი უნდა შეიტანოს და ეს საქმე მხოლოდ კომპანიას არ უნდა მიანდოს. გაორმაგებული ყურადღება საზედამხედველო სამუშაოების დროს ძეგლთა დაზიანებას მინიმუმამდე შეამცირებს.

გ) სამუშაო ჯგუფმა კომპანიისაგან მიიღო კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით შემუშავებული დოკუმენტები. აღმოჩნდა, რომ კომპანიას არ ჰქონია მეოთხე ფაზასთან დაკავშირებული არქეოლოგიური სამუშაოების მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია და ყოველი ახლადაღმოჩენილი ძეგლის შემთხვევაში მასზე ჩასატარებელი სამუშაოს მოცულობას განსაზღვრავდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან დადებული მოკლევადიანი კონტრაქტები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში გრძელდებოდა. აქედან გამომდინარე, ჩვენი დაკვირვებით, ზოგიერთ შემთხვევაში მილსადენის დერეფანში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების სრულყოფილ შესწავლასა და დაცვას ხელს უშლის ის გარემოება, რომ კომპანია ვალდებულებას არ იღებს სრულად გათხაროს დერეფანში დაფიქსირებული ძეგლი. გვაქვს შემთხვევები, როდესაც არ არის გათხრილი ნავთობსადენსა და გაზსადენს შორის არსებული ტერიტორია, (იგი გამოიყენება, როგორც გზა) რომელიც თავიდანვე იქნა განსაზღვრული, როგორც ძეგლის გავრცელების უშუალო არეალი. მართალია ასეთი ძეგლების გაუთხრელი ფართობი დაცულია გეოტექსტილითა და ხრეშით, მაგრამ ეს მონაკვეთები გარკვეული ხნის განმავლობაში, მშენებლობისას კორდოვანი ფენის მოხსნის გამო ღია იყო, რაც აუცილებლად გამოიწვევდა კლიმატურ ცვლილებას ნიადაგის სიღრმეში და შესაბამისად დააზიანებდა არქეოლოგიურ ძეგლს. აღნიშნული ტერიტორიები დაცვითი ღონისძიებების ჩატარების შემდეგ გამოიყენებოდა მძიმე ტექნიკის გადასაადგილებლად, რისგან გამოწვეული ვიბრაციაც ძეგლისათვის შესაძლოა დამღუპველი იყოს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ აუცილებლად უნდა გაითხაროს დერეფანში არსებული ძეგლის მთლიანი ფართობი.

დ) კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმაში აღნიშნულია, რომ კომპანია ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს არქეოლოგიური გათხრების შედეგების პუბლიკაცია, რაც ჯერ არ განხორციელებულა. ვიმედოვნებთ, რომ ეს პროცესი როგორც კომპანიის, ისე არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცდელობით მალე დაიწყება.

5. მადლობა

პროგრამის - ”მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა” - კულტურული მემკვიდრეობის მართვის აუდიტის ჯგუფის წევრები პროექტის განხორციელებაში გაწეული დახმარებისათვის, სასარგებლო რჩევებისა და ინფორმაციისათვის მადლობას უხდიან შემდეგ პიროვნებებს, ორგანიზაციებსა და კომპანიებს:

ქეთევან ხუციშვილი – ევრაზიის ფონდი, დირექტორი.

კობა თურმანიძე - პროგრამის კოორდინატორი

სუზან ჩენონი – პროგრამის კონსულატანტი

ეკა გრიგალავა, ჰოუპ ლეინინგერი – კომპანია BP

ჯგუფი განსაკუთრებით გამოხატავს თავისი მადლიერებასა და პატივისცემას საერთაშორისო ექსპერტის, ბატონ კლაივ მორგანის მიმართ, რომელმაც უდიდესი დახმარება გაგვიწია აუდიტის პროგრამის დასრულებასა და შედეგების გაანალიზებაში.

დანართები

დანართი 1

ნესტან თათარაშვილი - ჯგუფის კოორდინატორი. არქიტექტორ-რესტავრატორი. საქართველოს მოდერნის დაცვის ჯგუფის /Georgian Art Nouveau Preservation Group/, უფროსი.

1983 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივესრიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ძეგლთა დაცვის სამმართველოში, სადაც 1987 წლიდან 2004 წლამდე მუშაობდა როგორც წამყვანი არქიტექტორ რესტავრატორი და სარესტავრაციო ჯგუფის უფროსი. 2004 წლის აპრილიდან ოქტორმბრის ჩათვლით იყო საქართველოს მთავარი არქმშენინსპექციის უფროსი. 2005 წლის ივნისიდან ნოემბრამდე მუშაობდა ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში. გამოქვეყნებული აქვს სტატიები საქართველოს, ინგლისის, ესპანეთისა და რუსეთის სამეცნიერო და პოპულარულ გამოცემებში. არის ფოტო-გამოფენის "თბილისის მოდერნი" ორგანიზატორი, რომელიც გაიმართა თბილისში, ზაარბრიუკენსა და ბერლინში. საქართველოში მოდერნის არქიტექტურის კვლევისა და პოპულარიზაციისათვის 2003 წელს მსოფლიო ძეგლთა ფონდისგან მიენიჭა სერთიფიკატი: 2003 - WORLD MONUMENTS FUND. USA. Certificate of Exceptional Accomplishment to Art Nouveau Buildings in Georgia. In Recognition of the Exceptional Efforts of Ms. Nestan Tatarashvili, Head of the Georgian Art Nouveau Preservation Group.

საქართველოს მოდერნის დაცვის ჯგუფი /Georgian Art Nouveau Preservation Group/, არის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია. ჯგუფი შეიქმნა 1997 წელს. მისი მიზანია საქართველოში მოდერნის /იგივე Art Nouveau/ არქიტექტურის გამოვლენა, აღრიცხვა, ფიქსაცია, შესწავლა, კვლევა, პოპულარიზაცია და კონსერვაცია-რესტავრაცია.

თამარ აღაპიშვილი – ჯგუფის წევრი. არქეოლოგი. არასამთავრობო ორგანიზაციის "სუნტნი – აქტიური ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ჯგუფი" - ერთერთი დამფუძნებელი.

1979-1995 წლებში მუშაობდა ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტში მონაწილეობდა ინსტიტუტის არქეოლოგიურ ექსპედიციებში. 2002-2005 წლებში მონაწილეობდა თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის არქეოლოგიურ ექსპედიციებში. ამჟამად მუშაობს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, არქეოლოგიის განყოფილებაში.

არასამთავრობო ორგანიზაცია “სუნტნი – აქტიური ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ჯგუფი” დაფუძნდა 2001 წელს. 2002 წელს ჯგუფმა განახორციელა პროექტი “საქართველო – ძეგლები და ტურისტული მარშრუტები”. პროექტის ფარგლებში მომზადდა ტურისტული რუკა. 2004-2005 წწ-ში, სუნტნის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტია “აღმოსავლეთ საქართველოს ტურისტული რესურსების გეოინფორმაციული სისტემა”.

ნოდარ ბახტაძე – ჯგუფის წევრი. ხელოვნებათმცოდნე-არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი (1972-1976). მუშაობს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. არის ორი მონოგრაფიისა და 40-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი. მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

წარმოადგენს მეცნიერების ფონდ "უდაბნო"-ს, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კონტროლი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასა და მოვლა-პატრონობაზე. ფონდ "უდაბნოს" მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელდა ორი უმნიშვნელოვანესი პროექტი: 1. 2000-2003 წწ. ციურიხის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან და ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან ერთად განხორციელებული პროექტი: "შუა საუკუნეების კლდეში ნაკვეთი მონასტრებისა და კლდის სოფლების შესწავლა ქვემო ქართლის რეგიონში". პროექტის შედეგები მოიცავს რეკომენდაციებს მთელი რიგი ძეგლების კონსერვაცია-რესტავრაციის შესახებ, და 2. 1998 წ, "ტასისის" გარემოს დაცვითი ცოდნის ამაღლების პროგრამის დაფინანსებით განხორციელებული პროექტი: "გადავარჩინოთ ჩვენი გარემო". შედეგებში დიდწილად წარმოდგენილია გარეჯის მონასტრების დაცვისა და მოვლა-პატრონობის გზები.

ვახტანგ შატბერაშვილი – ჯგუფის წევრი. არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

არის რამოდენიმე საერთაშორისო პროექტის მონაწილე და ავტორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (1977-1982). მუშაობს ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტში, მონაწილეობა აქვს მიღებული მიღებული ანტიკური და ბრინჯაოს ხანის შემსწავლელ არქეოლოგიურ ექსპედიციებში. არის საერთაშორისო კონფერენციების მონაწილე და არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.

წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას “საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა”. რომელსაც მოწყობილი აქვს რამოდენიმე ექსპედიცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ორი პროექტი, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მის პოპულარიზაციას ემსახურებოდა.

ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი – ჯგუფის წევრი. არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1974-1979). მუშაობს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ქვის ხანის ფონდში. არის რამოდენიმე საერთაშორისო პროექტის მონაწილე და ავტორი, საერთაშორისო კონფერენციების მონაწილე და არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.

წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას “პალეოლითის შემსწავლელ მეცნიერთა კავშირი”, რომელიც ახორციელებს პალეოლითური ძეგლების შესწავლას როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

დანართი 2

აუდიტის პროგრამა

- აუდიტის ობიექტისგან დოკუმენტების მოთხოვნა და მათი შესწავლა.
- აუდიტის მიზნების შემუშავება და მოქმედების გეგმის შედგენა.
- ჯგუფის ყველა წევრზე კონკრეტული ფუნქციისა და პასუხისმგებლობის განაწილება.
- BP-სთან და კონტრაქტორებთან შეხვედრების განრიგისა და განსახილველ საკითხთა ნუსხის დადგენა.
- სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტების დაზუსტება (საველე გასვლების ადგილზე და გასვლებიდან დაბრუნებისას - საველე ანგარიშები, საჩივრები, რეკომენდაციები).
- საველე გასვლების ადგილზე დეტალური ჩანაწერების გაკეთება, ფოტოფიქსაცია, დამატებითი დოკუმენტების მოძიება და განხილვა, პირველადი შეფასების გაკეთება და შემდგომი ინტერვიუსათვის კითხვარის შედგენა
- მოპოვებული და დამუშავებული მასალების შენახვა როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით
- ჩატარებული აუდიტის მასალების საფუძველზე დგება საბოლოო ანგარიშის შედგენა, სადაც წარმოჩინდება განხორციელებული სამუშაოების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ჩამოყალიბდება რეკომენდაციები.
- აუდიტის შედეგების წარდგენა BP-ისათვის
- უდიტის ანგარიშის საბოლოო ვარიანტის მომზადება და გამოქვეყნება

აუდიტის სამუშაო გრაფიკი

დაგეგმილი ღონისძიება	**აპრილი**		**მაისი**		**ივნვისი**		**ივლისი**		**აგვისტო**		**სექტემბერი**		**ოქტომბერი**	
	I	**II**	**I**	**II**	**I**	**II**	**I**	**II**	**I**	**II**	**I**	**II**	**I**	**II**
აუდიტის დაგეგმვა														
სამუშაო გეგმის BTC-თან შეთანხმება		**28**												
დოკუმენტების მოპოვება და შესწავლა														
საველე გასვლისათვის მომზადება, კითხვარის შედგენა														
საველე გასვლები			**8**	**15**	**8**	**9**								
წინასწარი ანგარიშის მომზადება								**14**						
BTC Co-სთან წინასწარი მიგნებების განხილვა									**4**					
წინასწარი ანგარიშის თარგმნა														
ანგარიშის საბოლოო შესწორება											**7**			
BTC-სათვის ანგარიშის გაგზავნა											**8**			
BTC – ის პასუხი ანგარიშზე													**5**	
მიგნებების განხილვა ინტერესთა ჯგუფთან														

დანართი 3

გამოყენებული დოკუმენტების სია:

- სოციალური მართვის სისტემის სახელმძღვანელო (Social Management System Manual (AGT002-EV-MAN-00001 Rev.C01)
- კულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელო (Cultural Heritage Field Notebook (CHFN), რომელიც შეიცავს კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმას (Cultural Heritage Management Plan16 June 2003 (CHMP)) და ახალი აღმოჩენების ოქმს (Late Finds Protocol (LFP)
- BTC მილსადენის პროექტი საქართველოში. BTC Co-სთვის კულტურული მემკვიდრეობის მართვის პროცესისა და პროცედურის აუდიტი. ოქსფორდის არქეოლოგია. 2005 (BTC Pipeline Project Georgia. Audit of Cultural Heritage management Processes and procedures for BTC Co. Oxford Archaeology. 2005)
- BTC-ის გვიანი აღმოჩენების ოქმის აუდიტი საქართველოში. ჩატარებული მარნეულში - 1 თებერვალი 2004 და KP53-ზე 3 თებერვალს. 2004 (Audit of BTC Archeological late finds protocol Georgia. Carried out - Marneuli on 1st February 2004 and at KP53 on 3st February 2004)
- კონტრაქტი BTC სავალდებულო დერეფანში II ფაზის არქეოლოგიური კვლევის შესახებ, ნაწილი 3, სპექტრი
- გარემოს დაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება (ESIA)
- UNESCO-ს კონვენცია 1972
- არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვის ქარტია, მიღებული ICOMOS-ის მიერ 1990 წელს.

კომპანიის მიერ გადმოცემული დამატებითი დოკუმენტაცია:

KP 085 IV-205

- Call of text: HL-019; -023; -023; -205; -027; -024IV-205; -030; -117
- Daily reports: November 22, 26 and 27; December 12, 13 17. May 14,15-16; 17
- Photos: November 2003;
- BTC_AFI 14 May; SCP_AFI 14.05.06; SCP_AFI 14 May
- Site IV-205 KP85 TS Email No CAR Reinstatement;
- Technical report by Zebede Shatberashvili

KP 203 IV-293

- Daily reports: 4,5,6,12,13, 14, 15 October
- Photos: KP 202+900 cultural layer_1; KP 202+900 cultural layer_2; KP 202+900 site overview
- Lab Work: 1-st Stage Drawings; Kp202+900, IV-293; Photos3,4,5,6,8,9,
- Gen. Plan: BTC line and SCP line
- Tiseli Settlement Profile
- Plans-maps: Kp 202+900 Gogochuri; Kp 202+900 Tiselis seri15-11; Kp 202+900 Tiselis seri 15; Kp 202+900 Tiselis seri15-11
- Artifact_list: Geo KP202+900(1); Drawings_Inventory_GeoKP202+900(1); Feature_Inventory_Form_2_GEOKP202+900(1);Photolog_GeoKP202+900(1); IV-293 site location map;
- Management Summary: KP 202+900 11.06.2005;

KP 120

- Call of Examples: a) HL-150 Data Recovery Stage 1; b) IV_208: HL-150 Data Recovery Stage: HL-150 Tsalka ROW Clearance SCP stage 2 Call off 1; HL-150
- Tsalka SCP 118 to 120+Area Data Recovery; KP 119550 to 120500; Tsalka KP 120 Site Summary;
- CAS Management Summaries and Technical Report;
- Daily Correspondence and Weekly documentation;
- Artifacts_List-Kp 120 IV-156Geo(1);
- Drawings_Inventory_Geo (1);
- Feature_inventory IV-156, KP 120(1) GEO; KP 120 IV-156
- Context and Methos Sections GEO;
- Photolog_Geo(1);
- Photolog_Geo-Kp 120 IV-156;
- Soil_Sediment_Sample_Inventory_Form_Geo(1)
- Plans-maps: Kp 120 sapharxaraba 20 05

KP 185

- AmendedHL-048: HL-048 Salvage SCP Line KP 185; AMEENDED HL-048 BPGM 12
- Salvage KP 185; AMEENDED HL-048 BPGM 14 ; HL-100 KP 185 Lab Analysis and Report: Archeological Site Report Review Form KP 185 IV-071-0721; Photos: Arch.Site at KP 185; KP 185 main structure excavation area_1; Kp 185 overview of trench looking+ve; Kp 185 overview of trench looking southeast; KP 185 view+ve 1; KP 185 view+ve 4; KP 185 view to W; KP wall extension from main structure; No 07 Kp 185 Trenching;
- SCP VOR JULY 2005: Att to SPPT-SCPT-PIP-L-1296; SPPT-SCPT KP 185 ATTN KLacey
- SPPT-SCPT-PIP-L-1300: Letter No. SPPT-SCPT-PIP-L-1294 AGT 002-2006-PM-VOR-ooo6 7 Rev; 19.06.04 CHFO Report;

- June 19**:** KP 185 Technical report; Site IV-071, IV-072 (BPG14) Late Finds Tracking Sheet; KP 185 1140-21.07.04 Expedition Information CAS
- Technical report by Givi Gambashidze

KP 225

- Contract Call Off SOWsMGMT Sum**:**
- Plan-maps Kp 225: 122, 123,124, 125, 127, 130, 13-12, 19, 32, 33, 34, 35, 37, 38, 39KVEDA, 39zeda, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47,
- General Plan, Kp225 Drawing1. dwg.klde1, Kp 225 Drawing1. dwg.klde1,
- Topo plan. Artifacts inventory IV-2-17;
- Drawings_inventory-IV-217
- Eng_Skeletal Material Inventory –IV-217;
- Feature Inventory-IV-217; IV-219,
- Report Section-2.0,3.0,4.0;
- Photolog Geo IV 217(1);
- Skeletal Material Inventory-IV-217;
- Soil_Sediment_sample IV-217
- Drawings KP 231: Akveduki231; Plans-maps Kp 231: Akveduki 231; Artifacts_List-IV-238; Drawings_Inventory-IV-238; Features_Inventory-IV-238
- Photolog_Geo-IV-238; Laboratory Monitoring report_KP 225ZT; IV-217 GEO Sample inventory
- Plans-maps Irina Gambashidze: 152, 153.
- Daily Reports 03_040109: Akhaltsikhe Preconstruction survey; Pottery from Prec. Sur. 09.01.04; KP 225 drawing: KP 255 excavations; Daily Report 11.05.04-ZT: KP 225 CAS clearance; 04050911_HL; 12.05.04-ZT; 14.05.04-ZT; 14.05.04-ZT; 040518_HL
- Photos: Kp 225+CAS Excavations0; IV 217 KP 225 overview; IV 217 KP 225 Roman period structure;
- CAS Phase IV Excavations_Kp 225 05.06.04

დანართი 4

თბილისში BTC/SCP- ის კულტურული მემკვიდრეობის პერსონალთან პირველი შეხვედრის კითხვარის გეგმა

კითხვები:

1. გთხოვთ გაგვეცნოთ და დაგვიდასტუროთ თქვენი თანამდებობა და როლი BTC / SCP პროექტის ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის მართვასთან დაკავშირებით;
2. აუდიტის ჯგუფს გადაეცა შემდეგი დოკუმენტების ასლები: კულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელო (16 ივნისი, 2003) (რომელიც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმასა და ახალი აღმოჩენების ოქმს) და BTC/SCP-ის ვალდებულების რეესტრი. გთხოვთ, დაგვიდასტუროთ, რომ ეს დოკუმენტები მიმდინარეა და შეიძლება გამოყენებულ იქნას აუდიტის ჩატარებისას. თუ არსებობს უფრო ახალი დოკუმენტები, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ისინი და აღნიშნოთ შეტანილი ცვლილებები.
3. კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის მიხედვით მილსადენის მშენებლობისათვის შემუშავებულია ოთხფაზიანი არქეოლოგიური სტრატეგია, გთხოვთ, გაგვარკვიოთ როგორ მიმდინარეობდა ეს ფაზები და რა ეტაპზეა ამჟამად სამშენებლო პოცესი..
4. გრძელდება თუ არა მეოთხე ფაზის სამუშაოები, სად და რა ეტაპზეა იგი? გთხოვთ, მოგვაწოდოთ იმ ადგილების სია, სადაც ეს სამუშაოები მიმდინარეობს..
5. რა გეგმები არსებობს პოსტსამშენებლო ეტაპისათვის? შეგიძლიათ თუ არა წარმოგვიდგინოთ განრიგი, ბიუჯეტი და დოკუმენტირებული ვალდებულებები?
6. არსებობს თუ არა საყრდენი დოკუმენტები საექსპლუატაციო ფაზისათვის?
7. კულტურული მემკვიდრეობის მართვის უდიტის განსახორციელებლად გთხოვთ, მოგვაწოდოთ დერეფანში არსებული არქეოლოგიური ძეგლების სრული სია. გთხოვთ, აღნიშნოთ, რომელი მათგანი იყო ცნობილი წინასწარი კვლევისას და რომელი აღმოჩნდა სამშენებლო სამუშაოებისას..
8. სამუშაო ჯგუფს, თქვენი ხელშეწყობით, სურს აუდიტისათვის შეარჩიოს არქეოლოგიური ძეგლები (როგორც სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას, ისე საკომპენსაციო არქეოლოგიური გათხრებისას). ჩვენი მონაცემებით ესენია: KP 53, KP77- 85, KP 120, KP 136, წალკა – ტაბაწყურის შემოსავლელი გზა, KP 198, KP 202, KP 211, KP 242, ტაძრისის მონასტერი, აწყურის ციხე, აგრეთვე ერთი წარმატებული და ერთი პრობლემატური ძეგლი. თითოეული შერჩეული ძეგლისათვის აუდიტის ჯგუფი მოიძიებს შესაბამისობებს ქვემოთ აღნიშნულ საკითხებთან:

9. არის თუ არა ხელმისაწვდომი ქართველი არქეოლოგებისათვის I, II და III ფაზების წინასწარული კვლევა, აერო და სხვა ფოტოები როგორც ქაღალდზე, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით.
10. კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის 5.2 პარაგრაფის მიხედვით II და III ფაზებზე შეიქმნა მეცნიერულად დასაბუთებული მასალა მუზეუმებისათვის. გაკეთდა თუ არა იგივე IV ფაზის მიმდინარეობისას?
11. დასტურდება თუ არა, რომ კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის 6.3. პარაგრაფის მიხედვით არქეოლოგიური მონიტორინგის პერსონალი ადასტურებდა II და III ფაზებში გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების დაცვის ზომების განხორციელების ეფექტურობას, რისთვისაც ისინი მიმართავდნენ შესაბამის ექსპერტიზას (ტაძრისის ეკლესიის მაგალითზე).
12. რატომ აირჩა მხოლოდ ტაძრისის ეკლესია და არა გასხვისების დერეფნის ახლომდებარე სხვა მნიშვნელოვანი ძეგლი და რა იყო ამის საფუძველი?
13. ესწრებოდა თუ არა კვალიფიციური არქეოლოგი მეოთხე ფაზის განმავლობაში არქეოლოგიურად მგრძნობიარე ადგილებზე მიმდინარე ყველა სამუშაოს?
14. აგვიღწერეთ არქეოლოგიის ინსტიტუტთან დადებული პარტნიორული შეთანხმებები მეოთხე ფაზის განმავლობაში, მონაწილე პერსონალის პროფესიული მონაცემები. შესაძლოა თუ არა მივიღოთ მონაწილე პერსონალის სრული სია.
15. აგვიწერეთ მექანიზმები, რომლის საფუძველზე სამშენებლო კონტრაქტორმა შესძლო განესაზღვრა და დაეცვა არქეოლოგიური ძეგლი. მაგალითად, ახალი აღმოჩენების ოქმი, კულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელოს თავი 3 და პარაგრაფი 2.5?
16. იღებდა თუ არა კვალიფიციური კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცერი მონაწილეობას დაზვერვებში IV ფაზის განმავლობაში არქეოლოგიურად მგრძნობიარე ადგილებში (კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა, პარაგრაფი 6.2). გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცრების სია და მათი სამუშაოს აღწერა.
17. ადგენდა თუ არა კვალიფიციური კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცერი ანგარიშებს IV ფაზის განმავლობაში არქეოლოგიურად მგრძნობიარე ადგილებთან დაკავშირებით (კულტურული მემკვიდრეობის საველე სახელმძღვანელოს თავი 3)?
18. იცნობდა თუ არა კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცერი მონიტორინგისა და დაცვის პროტოკოლებს (კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა პარაგრაფი 6.2)?
19. დაცულ იქნა თუ არა სამუშაოს შეჩერების პროტოკოლი კვალიფიციური კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცრის მიერ, კონკრეტულად ჩვენს მიერ შერჩეულ ადგილებში (კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა, პარაგრაფი 6.4) ?
20. ხელმისაწვდომია თუ არა BTC/SCP–ისა და პარტნიორების მიერ შედგენილი ანგარიშები, რომლებიც ეხება სამშენებლო სამუშაოების დროს გამოვლენილ არქეოლოგიურ ძეგლებს?

21. ხელმისაწვდომია თუ არა BTC/SCP–ის შიდა აუდიტის მასალები, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის მართვას ეხებოდა, აგრეთვე მათგან გამომდინარე კორექციული და პრევენციული ზომების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები?
22. ხელმისაწვდომია თუ არა გარე აუდიტის მასალები, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის მართვას ეხებოდა (მაგალითად ოქსფორდის არქეოლოგიური ანგარიში), აგრეთვე მათგან გამომდინარე კორექციული და პრევენციული ზომების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები?
23. ხელმისაწვდომია თუ არა შიდა და გარე საჩივრები, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის მართვას ეხებოდა, აგრეთვე მათგან გამომდინარე კორექციული და პრევენციული ზომების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები?
24. მოითხოვს თუ არა გათხრების ანგარიშები დერეფანში მოპოვებული არქეოლოგიური მასალისათვის შემდგომი ლაბორატორიული სამუაშოების ჩატარებას?
25. აღნიშნულია თუ არა გათხრების ანგარიშებში იმის საჭიროება, რომ აუცილებელია მოპოვებული არქეოლოგიური მასალის პუბლიკაცია, და არსებობს თუ არა რაიმე გეგმა ამის შესახებ?

BP-ის პასუხები რეკომენდაციებზე კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით

3.1.1 მონიტორინგის ნაკლებობა

BP არ ეთანხმება ამ მიგნებას. კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის ნაწილი 6.2 და კულტურული მემკვიდრეობის საველე წიგნის ნაწილი 2.3 არ შეესაბამება მოცემულ სიტუაციას.

არ არსებობს კულტურული მემკვიდრეობის საველე გუნდის მიერ მონიტორინგის განხორციელების ოფიციალური ვალდებულება აღდგენითი სამუშაოების დროს. აღდგენითი სამუშაოები არ გულისხმობს სამუშაოებს მიწაში და შემოიფარგლება მხოლოდ ადრე გათხრილი ნიადაგის გადანაწილებით. ამრიგად, აღდგენითი სამუშაოების დროს კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცრების დასაქმებით BP-მ გადააჭარბა მოთხოვნებს. სამუშაოების ამ ფაზაში კულტურული მემკვიდრეობის ადგილები დაცულია დაზიანებისაგან შემდეგი ღონისძიებებით:

- კონტრაქტორებისა და BP-ის თანამშრომლები გაფრთხილებულები არიან არქეოლოგიურად მნიშვნელოვანი უბნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საფუძველზე მიღებული ნებისმიერი განსაკუთრებული შეზღუდვის შესახებ როგორც წერილობით, ასევე ყოველკვირეული შეხვედრებისას.

- კულტურული მემკვიდრეობის საველე ოფიცრები მივლენილი არიან გასხვისების დერეფნის ცალკეულ სეგმენტებზე, სადაც აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს და დავალებული აქვთ უკვე ცნობილი კულტურული მემკვიდრეობის ადგილების ყოველდღიური შემოწმება.

- კულტურული მემკვიდრეობის საველე გუნდის წევრებს ყოველდღიურად ურიგდებათ კონტრაქტორის სამუშაო გეგმის ელექტრონული ასლი. ეს გეგმები გამოიყენება მონიტორინგის საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრისათვის.

BP-ის კულტურული მემკვიდრეობის გუნდის დაკომპლექტება და ზედამხედველობა ხორციელდება პროექტის მიმდინარე საქმიანობის დონესთან შესაბამისად. მდგომარეობის ცვლილების შემთხვევაში განვიხილავთ დამატებითი პერსონალისა და ზედამხედველობის საკითხს.

3.1.2 გამაფრთხილებელი ნიშნების არარსებობა არქეოლოგიური მონუმენტის ტერიტორიაზე

BP არ ეთანხმება ამ მიგნებას. კულტურული მემკვიდრეობის საველე წიგნის მოთხოვნები გამაფრთხილებელი ნიშნების შესახებ ეხება ისეთი მაღალი რისკის სამშენებლო სამუშაოებს, როგორიცაა გასხვისების

დერეფნის გასუფთავება და თხრილის გათხრა. ნიშნების დაყენება, მოვლა და მოხსნა კულტურული მემკვიდრეობის საველე კოორდინატორის უფლებამოსილებაა და ეფუძნება რისკის შეფასებას. კონტრაქტორმა იცის და ანგარიშს უწევს ყოველკვირეული შეხვედრებით, წერილობითი ინსტრუქციებითა და ზოგადი მიმოწერით მიწოდებულ ვალდებულებებსა და მითითებებს კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით.

3.2.1 სამშენებლო დერეფნის კიდეზე არაოფიციალურად მოქმედი საავტომობილო გზა

მითითებული მისასვლელი 121 აგებული და გამოყენებული იყო საქართველოს მთავრობის კულტურული მემკვიდრეობის საზედამხედველო სააგენტოს IoA (ყოფილი CAS) მიერ მინიჭებული ნებართვისა და მითითების შესაბამისად. არქეოლოგიური უბნის მიმდებარე მთელი სამუშაო ტერიტორია სრულად იქნა აღდგენილი 2006 წლის ივნისში კულტურული მემკვიდრეობის უბნის ყოველგვარი დაზიანების ნიშნის გარეშე. ეს ადგილი სრულად აღდგენილია და, როგორც ყველა დანარჩენი გზის გადაკვეთის შემთხვევაში, მიღებულია დამცავი ზომები (მიწაყრილები) სატრანსპორტო მოძრაობისაგან გასხვისების დერეფნის დასაცავად.

3.2.2 არქეოლოგიური მონუმენტის ნაწილი დატოვებულია გათხრის გარეშე

ადგილზე შენახვა კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მოვლის საუკეთესო ალტერნატივაა. ეს მიდგომა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას, როგორც აუდიტის ანგარიშშია მითითებული, "არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის ქარტია, მიღებული ICOMOS-ის მიერ 1990 წელს, თავი VI – 'მოვლა და კონსერვაცია' – ამბობს: 'არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვის ძირითადი მიზანი უნდა იყოს მონუმენტებისა და უბნების შენახვა ადგილზე. ის ასევე აღიარებს პრინციპს, რომ არქეოლოგიური მემკვიდრეობა არ უნდა იყოს გათხრილი ან დატოვებული ღია მდგომარეობაში გათხრის შემდეგ, თუკი მისი სათანადოდ მოვლა და მართვა გათხრის შემდეგ ვერ იქნება გარანტირებული.' "

უბნის დამცავი მექანიზმები, გეოტექსტილისა და ხრეშის ჩათვლით, გამოყენებულ იქნა სავალი ბილიკის ასაგებად და მოცემული უბნის დასაცავად მშენებლობასთან დაკავშირებული გამწმენდი სამუშაოებისგან. ამჟამად, როცა მშენებლობა დასრულებულია და გასხვისების დერეფანი აღდგენილია, ამ მონუმენტის დაზიანების რისკი მინიმალურია (მონუმენტი ჩამარხულია). ამ უბანზე არ არსებობს დამატებითი გათხრების ჩატარების საჭიროება, ამასთან, დამატებით გათხრილი არქეოლოგიური მასალის სათანადო მოვლა და მართვა ამჟამად ვერ იქნება უზრუნველყოფილი ქვეყანაში არსებული შესაძლებლობების სიმცირის გამო. რაც შეეხება ვიბრაციის ზეგავლენას არქეოლოგიურ უბნებზე, პროექტის ადრეულ ეტაპზე განხორციელებულმა შეფასებებმა დაადგინა მინიმალური რისკის შესაძლებლობა აღმართული არქეოლოგიური ნაგებობებისათვის

(მონუმენტებისათვის) და რისკის არარსებობა არქეოლოგიური უბნებისთვის.

3.3.1 აღმოჩენა არ არის ჩამარხული

BP არ ეთანხმება ამ მიგნებას.

არქეოლოგიური აღმოჩენა KP 185-თან BP-ის მიერ დაცული იქნა სამშენებლო სამუშაოებისაგან მილსადენის მარშრუტის შეცვლითა (ადგილზე შენახვა საუკეთესო ალტერნატივაა) და დამცავი ღობის დაყენებით ყველა შესაბამისი წესისა და პროცედურის შესაბამისად, რაც იხილა კიდეც ადგილზე აუდიტორთა ჯგუფმა.

გათხრილი არქეოლოგიური უბნის კონსერვაცია (ჩამარხვა) განხორციელდა მთავრობის მოთხოვნების შესაბამისად 2006 წლის აგვისტოში SPJV-ის აღდგენების გუნდის მიერ, რისი დამადასტურებელი ტოპოგრაფიული დოკუმენტაციაც ხელმისაწვდომია. ამ ან რომელიმე სხვა უბნის თაობაზე დავის მოსაგვარებლად არ არსებობს გარეშე დახმარების საჭიროება, მსგავსი საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში, BP იმოქმედებს შესაბამისად.

დასკვნები და რეკომენდაციები

10 ა)

საქმიანობის ღონის შესაბამისად BP მუდმივად აფასებს პერსონალთან დაკავშირებულ საჭიროებას. რაც შეეხება პერსონალის კომპეტენციას, ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ BP-ის აქვს სამუშაოდ აყვანის სამართლიანი და გამჭვირვალე წესი, რომელიც ნათლად განსაზღვრავს პასუხისმგებლობასა და კვალიფიკაციას და ყველა კანდიდატი ფასდება ამ ნათლად ჩამოყალიბებული კრიტერიუმების მიხედვით.

10 ც)

BP არ ეთანხმება ამ მიგნებას.

ადგილზე შენახვა კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მოვლის საუკეთესო ალტერნატივაა. ეს მიდგომა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

გვიანი აღმოჩენების (IV ფაზა) არქეოლოგიური უბნების მოვლა ნათლადაა განხილული გვიანი აღმოჩენების პროტოკოლში. მოკლედ რომ გადმოვცეთ, ეს პროცესი მოიცავს დადგენას, კონსულტაციებს მთავრობასთან, შეფასებას და მოცემული უბნის მოვლის გეგმის შემუშავებას, რომელიც გაითვალისწინებს არქეოლოგიური აღმოჩენების ბუნებას (სამარხი, ნაგებობა, ნივთები, ა.შ.), ბუნებრივ გარემოს (მაღლობი, ჭაობი, სეზონური

ცვლილებები), საინჟინრო და მიწასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს (მარშრუტის შეცვლა, სპეციალური სამშენებლო ტექნიკა) და მშენებლობას. არქეოლოგიური უბნების უნიკალური ბუნებისა და მილსადენის დინამიური განვითარების გამო არ არსებობს არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების სტანდარტიზებული სტრატეგიების არც მოთხოვნა და არც საჭიროება.

რაც შეეხება ვიბრაციის ზეგავლენას არქეოლოგიურ უბნებზე, პროექტის ადრეულ ეტაპზე განხორციელებულმა შეფასებებმა დაადგინა მინიმალური რისკის შესაძლებლობა აღმართული არქეოლოგიური ნაგებობებისათვის (მონუმენტებისათვის) და რისკის არარსებობა არქეოლოგიური უბნებისთვის.